საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 9-10 დეკემბერი. 2020 წ. №174-175 (9100-9101) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დღის გამოწვევა

როგორც ჩანს, გაერთიანებულ ოპოზიციას ჰგონია, ამომრჩეველმა ხმა იმისთვის მისცა, რომ ქუჩის პარლამენტი შექმნას... როდემდე შეიძლება, საკითხავი იყოს პარლამენტში შესვლა-არშესვლა?! ნუთუ ძალაუფლებისთვის გაგიჟებულმა ოპოზიციამ სახელმწიფოებრივად აზროვნების უნარიც დაკარგა... და გაგებაში არ არის, რომ ქუჩაში „პარლამენტარობით“ საკუთარ ამომრჩეველს აბითურებს!

გამოკეთდება თუ არა COVID-19-ით დაზარალებული მსოფლიო ეკონომიკა 2021 წელს?

საქართველოსთვის სიღატაკესთან გამკლავება რთულია, მაგრამ... შესაძლებელი! ④

10 დეკემბერი მეგზევის დღეა!

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება გულითადად ულოცავს საქართველოს მეგზევეთა დიდ არმიას პროფესიულ დღესასწაულს და უსურვებს მათ, ოჯახის წევრებთან ერთად, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს, დაუღალავ შრომას და შემოქმედებით საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თამაზ შილაკაძე:

კარგი გზა ქვეყნის მეტი ეკონომიკური სიძლიერე, მეტი სიცოცხლეა! ⑤

სოსო მანჯავიძე:

ელჩებს არ უნდათ, საქართველო შუაზე გახლიჩონ რუსეთმა და თურქეთმა! ③

ზაალ ანჯაფარიძე:

„ნაცებს“ და „ევრონაცებს“ წნეხის ქვეშ ჰყავთ მცირე ოპოზიციური პარტიები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში შესვლისკენ იხრებიან“

ალიყური!

მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთო...

შეკრებს ეს ათას მამაძაღლობაში მხილებული გვარამიას ბიჭი თავისნაირ ათას მამაძაღლობაში გარეულ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციონერთ და ანაწილებენ ქვეყანას... ასე იყო იმ საღამოსაც. პოლიტიკურ ჯორზე შემომსხდარ თანამოაზრეთ ჯერ თავისი ახალი კვლევა გააცნო. თავისი მოკლე ჭკუით დაანგარიშებული პროცენტები გრძელ მწკრივად გადაიტანა დაფაზე და შესძახა, ა, ბატონო ოპოზიციას 70 პროცენტი უჭერს მხარს, არ შევიდეს პარლამენტშიო!..

და ერთხმად დაადგინეს: გამოუშვან პოლიტიკური პატიმრები, შეიცვალოს საარჩევნო კომისია და, რაც მთავარია, დაინიშნოს ვადამდელი ახალი არჩევნები. მორჩა და გათავდა!

ესე იგი, რა გამოდის, რა გამოდის და, გინდა არჩევნებში გაუმარჯვიათ და გინდა ამ მოთხოვნების შესრულებაზე დასთანხმებია 31 ოქტომბერს აშკარად გამარჯვებული „ქართული ოცნება“, რომელმაც გვარამიას ბიჭის დაანგარიშებით, სანამ დროა, ოპოზიციაში უნდა გადაინაცვლოს. თუ არადა, ციხის ცივი კედლები ხომ ნაღდია!

ერთი სიტყვით, ჯორი ხომ დაღალეს და დაღალეს, რომელზეც სხედან,

ხოლო ამომრჩეველთ თავი საბოლოოდ შეაბეზრეს თავიანთი გაუთავებელი პოლიტიკური გაქირით. ანუ კიევიდან დისტანციურად (თუ ონლაინით) მართულმა ძალაუფლებისთვის ჭკუიდან გადასულმა ნაციონალებმა რევოლუციის ახალი სახეობა მოიგონეს და ვარდების ნაცვლად ახლა ლიფსიტა პარტიები უჭირავთ (გამოჭერილი ჰყავთ!) და თავიანთ დაკრულზე ათამაშებენ.

ქართველებს ბევრ მრავლისმთქმელ ანდაზასთან ერთად ერთი ასეთი ანდაზაც გვაქვს: მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს არაფერი ერგოო. სწორედ ასეა ათას მამაძაღლობაში ბრალდებული ანზორ გვარამიას ბიჭის საქმე, რომლის დაანგარიშებითაც „ოცნებამ“ რაც შეიძლება მალე უნდა აიკრას გუდა-ნაბადი, რადგან... **უკვე ჩემი აზრით:** დღემდე ვერ მიუჩინა საკადრისი ადგილი სინამდვილის უნამუსოდ გამყალბებელ გიულის ბიჭის ნარჩენებს, რომლებმაც კარგა ხანს ღლიტეს ქვეყანა, მიეჩვივნენ ამ ღლეტას და გადაჩვევა უჭირთ. აკი მეორე ანდაზაც ამბობს, მიჩვეულს ნუ გადააჩვევ და მიუჩვეველს ნუ დააჩვევო!..

მართლაც, როდემდე შეიძლება დემოკრატიის ბაკანში ჯდომა და ბოროტი მეტოქის მავნე ხუშტურების ანგარიშის გაწევა?!

ნუგზარ წიკლაური,

ფსიქიატრი, პროფესორი.

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა 11 დეკემბერს გაიმართება

საქართველოს პრეზიდენტმა ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დანიშვნის შესახებ განკარგულება გუშინ გამოსცა. განკარგულების მიხედვით, პირველი სხდომა 11 დეკემბერს, 12:00 საათზე დაინიშნა.

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბერს ჩატარდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, პროპორციული ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

„ევროპული საქართველო“ – 3,79 %, 5 მანდატი.

„ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია“ – 27,18%, 36 მანდატი

„პატრიოტთა ალიანსი“ – 3,14%, 4 მანდატი

„ლეიბორისტული პარტია“ – 1%, 1 მანდატი

„მოქალაქეები-ალეკო ელისაშვილი“ – 1,33 %, 2 მანდატი

„გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“ – 3,15%, 4 მანდატი

„გირჩი“ – 2,89%, 4 მანდატი

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ – 48,22%, 60 მანდატი.

„ლელო“ – 3,15%, 4 მანდატი

ამასთან, 30 მაჟორიტარულ ოლქში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და პარლამენტში მათი საერთო რაოდენობა 90 მანდატია.

მეათე მოწვევის პარლამენტმა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უსწრაფესად უნდა განიხილოს

მთავრობამ საკანონმდებლო ორგანოს ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი პირველ ოქტომბერს წარუდგინა და მისი პირველადი განხილვა კომიტეტების დონეზე მოხდა, თუმცა იმის გამო, რომ 2021 წელზე პასუხისმგებელი მეათე მოწვევის პარლამენტი იქნება, მეცხრე მოწვევის პარლამენტმა დოკუმენტი პლენარული სხდომის ფორმატში არ განიხილა და მსგავსი უფლებამოსილება მეათე მოწვევის პარლამენტს დააკისრა.

მთავრობამ უწყებას უკვე წარუდგინა ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვერსიაც, რომლის განხილვაც დაიწყება მას შემდეგ, რაც მეათე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა მოხდება. დოკუმენტზე იმსჯელებენ პლენარული სხდომის ფორმატში და მას სავარაუდოდ კანონმდებლებს ფინანსთა მინისტრი ვანო მაჭავარიანი წარუდგენს.

რეგლამენტის გათვალისწინებით, პარლამენტმა ბიუჯეტის პროექტი საშემოდგომო სესიის დასრულებამდე, მესამე პარასკევამდე, 17 დეკემბრამდე უნდა დაამტკიცოს. დოკუმენტის მიხედვით, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი – 16 მილიარდ 758.1 მლნ ლარს შეადგენს.

კოვიდვაქცინაციის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს

მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების 2-თვიანი გეგმის ფარგლებში მოქმედი ინტენსიური ტესტირების პროგრამის კიდევ უფრო გაფართოება, კოვიდ-სასტუმროებში თერაპიული ელემენტების გაძლიერების შედეგები და შეზღუდვების აღსრულების პროცესი განიხილეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დღევანდელ სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ინტენსიური ტესტირების ფარგლებში, ბოლო 24 საათის განმავლობაში ჩატარდა 16 646 ტესტი, აქედან 11 400 ანტიგენი და 5 246 PCR, რის შედეგადაც, გამოვლენილია ვირუსით ინფიცირების 4 673 ახალი დადასტურებული შემთხვევა. ინტენსიური ტესტირების პროგრამა კიდევ უფრო გაფართოვდება და მიმდინარე კვირის განმავლობაში ყოველდღიურად, 20 ათასამდე ტესტის ჩატარება იგეგმება. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს მოუწოდებს, ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომების გამოვლენისთანავე, მიმართონ იმ სამედიცინო დაწესებულებებს, სადაც შესაძლებელია სახელმწიფოს დაფინანსებით ტესტის ჩატარება და ასეთი კლინიკები საქართველოს მასშტაბით 230-ზე მეტია. რეგიონების მიხედვით მათი ნუსხის ნახვა მოქალაქეებს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე შეუძლიათ – https5//stopcov8ge/ka/klinikebi.

ქვეყანაში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 169 649 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 141 392 პირი გამოჯანმრთელდა. გარდაცვლილია 1576 ადამიანი. ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 1186 ადამიანი, კოვიდ-სასტუმროებში – 3759 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ – 6829 პირი. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ამერიკელთა საჩუქარი თავდაცვის ძალებს

აშშ-საქართველოს სამხედრო პარტნიორობისადმი მტკიცე მხარდაჭერის ფარგლებში საქართველომ მიიღო ლაზერული ზემოქმედების მრავალჯერადი ინტეგრირებული სისტემა M6LES-ი, რომელიც ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრს გადაეცემა.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ინფორმაციით, ამ სისტემას საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის რეალისტური საბრძოლო მომზადების გაუმჯობესებისთვის გამოიყენებენ. 44.3 მილიონი დოლარის ღირებულების ეს პროგრამა მოიცავს წვრთნის სრულ კომპლექტს, აღჭურვილობასა და ადმინისტრირების ხარჯებს.

ახალმოსახლეობა საახალწლოდ

ზუგდიდში, ახალაშენებულ კორპუსებში ბინა, სამეგრელოს რეგიონში, მძიმე კატეგორიის ნგრევად შენობებში მცხოვრებ 360 დევნილ ოჯახს გადაეცემა. ინფორმაციას საქართველსოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს.

დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით, ამ ეტაპზე, სამეგრელოს რეგიონში 68 ობიექტი იხურება, რომლებიც ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად ნგრევადია.

„დევნილი ოჯახების სია, რომლებსაც საცხოვრებელი ფართები გადაეცემათ, დევნილთა სააგენტოს ვებ-გვერდებზე გამოქვეყნდა. ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებით 55 დევნილი ოჯახი ადმინისტრაციულ დაპირებას მიიღებს, რომლის თანახმადაც საცხოვრებელი ფართები უახლოეს მომავალში, უპირობოდ, გადაეცემათ. დევნილთა სააგენტოს დირექტორი ბესარიონ სიმონიშვილი და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრები ინდივიდუალურად შეხვდებიან ყველა იმ დევნილს, რომელსაც ბინების განაწილების პროცესთან დაკავშირებით შეკითხვები გაჩნია. იძულებით გადაადგილებული პირების მიღება ზუგდიდში (თბილისის ქ. №1) 9, 10 და 11 დეკემბერს გაიმართება.

ზუგდიდში, დამატებით, 600 ოჯახისთვის განკუთვნილი 5 კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს.

საერთაშორისო ექსპერტები ნატოს მოუწოდებენ, საქართველოსა და უკრაინას წევრობის სამოქმედო გეგმა MAP-ი რაც შეიძლება სწრაფად გადასცეს

ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. რეზოლუციაში, რომელიც ლვოვის საერთაშორისო ფორუმის ბოლოს მიიღეს, ნათქვამია, რომ „ნატოს რაც შეიძლება სწრაფად უნდა წარუდგინონ საქართველოს და უკრაინის წევრობის რეალისტური სამოქმედო გეგმა, 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად“.

ექსპერტებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ტრანსატლანტიკური უსაფრთხოებისთვის შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას, ხოლო რუსეთის მხრიდან მომავალი აგრესია მთავარ საფრთხედ დაასახელეს. რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ **რუსეთი ზრდის სამხედრო წარმომადგენლობას სამხრეთ კავკასიაში, რაც მოსკოვმა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად გააკეთა, ხოლო შავ ზღვას აქცევს პლაცდარმად ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად, რაც მათი თქმით, ყირიმის ოკუპაციის შედეგად გახდა შესაძლებელი.**

ექსპერტები შიშობენ, რომ **რეგიონის მიმართ ნატოს სტრატეგიის დანაკლისი ქმნის ვაკუუმს, რომლის შევსებასაც რუსეთი ადვილად ახერხებს. მათივე თქმით, ნატოს სურს, შეიმუშავოს გაერთიანებული გეგმა სამხრეთ-აღმოსაველთ ფლანგის გასაძლიერებლად, რაც მოიცავს ბალტიისპირეთს, შავ ზღვას და ხმელთაშუა ზღვას.**

ექსპერტები ნატოს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმასაც ურჩევენ. **მათ შორის ოკუპირებული ყირიმიდან გემებს ყველა ევროპული და დასავლეთის ქვეყნების პორტებში შესვლა უნდა აუკრძალონ, შავ ზღვაში მუდმივად უნდა იყვნენ დისლოცირებული გერმანული და ამერიკული ხომალდები. რეგიონში ასევე უნდა განთავსდეს საწვრთნელი ბაზა, სადაც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისა და ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედროები რეგულარულ წვრთნებს ჩაატარებენ.**

რეზოლუციას მხარი 17-მა ექსპერტმა დაუჭირა. მათ შორის იყო ამერიკელი გენერალი ბენ ჰოჯესი, ნატოს გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუ და უკრაინის სამხედრო საზღვაო ძალების ყოფილი მეთაური, ადმირალი იგორ ვორონჩენკო.

საქართველოში ბავშვთა უფლებების დასაცავად

ევროკავშირი და გაეროს ბავშვთა ფონდი იწყებენ სამწლიან პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს, გააუმჯობესოს ბავშვების ინფორმირებულობა საკუთარი უფლებების შესახებ საქართველოში, მათი უფლებების დაცვა და რეალიზაცია. პროექტი ასევე ხელს შეუწყობს ბავშვებისთვის დაცული და მზრუნველი ოჯახური გარემოს უზრუნველყოფასა და ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.

ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსმა სიგრიდ ბრეტელმა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ღასან ხალილმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ეხება საქართველოში ბავშვთა დაცვის ეროვნული სისტემის გაუმჯობესების საკითხებს.

პროექტის მიზანია, დაეხმაროს მთავრობას ახლახან მიღებული ბავშვთა უფლებების კოდექსის განხორციელებაში, მათ შორის, დაგეგმილი ღონისძიებების დეცენტრალიზაციაში, ადგილობრივ დონეზე ბავშვთა უფლებების პატივისცემისა და დაცვის გაუმჯობესების მიზნით. პროექტს განახორციელებს გაეროს ბავშვთა ფონდი, საქართველოს მთავრობასთან პარტნიორობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროგრამის „ბავშვთა დაცვის სისტემების და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი სამწლიანია და მისი საერთო ბიუჯეტია 2 მილიონი ევრო.

რატომ არის ოპოზიცია ქვეყნის მტერი?!

— ბატონო სოსო, იქნებ, ოპოზიციურ პარტიათა უმეტესობას სურს კიდეც პარლამენტში შესვლა, უბრალოდ, ამას ვერ ამჟღავნებენ ნაცების შიშით. ზუსტად ეს იცის ხელისუფლებამ და ამითაცაა განპირობებული, რომ არც ერთი მხარე უკან არ იხევს. თქვენი აზრით, ნაცები ბლოკავენ მთლიანი ოპოზიციური სპექტრის პარლამენტში შესვლას, თუ მთლიანი ოპოზიციური სპექტრისთვის უკვე ძნელია უკან დახევა, რადგან ერთხელ უკვე დიდი ჰონორით თქვეს უარი პარლამენტში შესვლაზე?

— ოპოზიციის მიზანია, საქართველოში სიტუაცია აირიოს. ეს დირექტივა აქვთ მიღებული ძალის ცენტრიდან, საიდანაც ფული აქვთ მიღებული და უფლებაც არა აქვთ, კომპრომისზე წავიდნენ.

— ეს დირექტივა კიევიდან მოდის?

— კიევი, ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი გამტარია. ფაქტობრივად, ისინი ითხოვენ, ხელისუფლებამ სუიციდი, ჰარაკირი ჩაიტაროს. ხელისუფლებას კომპრომისის საშუალებას არ აძლევენ. როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებასაც არ აქვს ბერკეტები.

— ოპოზიცია ცდილობს, ჩიხში შეიყვანოს ხელისუფლება, მაგრამ საბოლოოდ თვითონვე ხომ არ აღმოჩნდებიან ჩიხში, თუკი ხელისუფლება უარს ეტყვის დაფინანსებაზე? პოლიტიკური ასპარეზი მათ აღარ ექნებათ, ქუჩის აქციების გზაც ჩაკეტილი იქნება ამომრჩეველთა გაბითურების გამო!

— პოლიტიკური პერსპექტივის თვალსაზრისით, თუკი ხელისუფლება თავის პოზიციას დაიკავებს, რა თქმა უნდა, ოპოზიცია ჩიხში შევა. მეორე მხრივ, არც ხელისუფლებაა კარგ დღეში, თავისივე ნარატივიდან გამომდინარე, მას არ აწყობს ერთპარტიული პარლამენტი, ანუ ორმხრივი ჩიხია. ახლა შევეცადოთ ამ ჩიხის რაციონალიზაციას. ოპოზიცია ამბობს, რომ გაყალბდა არჩევნები, თავისი მედიაიარაღებით ხალხს ტვინში უჭედავენ, თითქოს გაყალბდა არჩევნები, ამ დროს არჩევნების შედეგები არ გაუპროტესტებიათ, ვერ ვხედავთ ვერანაირ ნაბიჯებს, რეალურად დაესაბუთებინათ არჩევნების გაყალბება. რაზეა საერთოდ ლაპარაკი, როდესაც საარჩევნო კომისიებში თითოეულ ოპოზიციურ პარტიას ჰყავს თავისი წევრი, ჰყავთ თავიანთი დამკვირვებლები და წარმომადგენლები. გაყალბება შეუძლებელია, თუკი კომისიის 12-ვე წევრი ერთმანეთთან მოლაპარაკებული არ არის. ანუ გვიხატავენ ასეთ სურათს, რომ 3800 უბანზე „შეიკრიბნენ“ ყველანი, კომისიის წევრები, ოპოზიცია და ხელისუფლება და კიდევ ის 6 წევრი, რომელსაც საოლქო კომისიები ნიშნავენ კონკურსის წესით. სადღაც 45 ათასი, თუ 46 ათასი ადამიანი, ყველა ესენი თურმე არიან დანაშაულებრივ შეთქმულებაში, თან ისე, რომ ამის შესახებ არ იცოდა მათმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, არც ნაცების, არც „პატრიოტთა ალიანსის“, არც „ევროპული საქართველოს“ ხელმძღვანელობამ. ასეთ სურათს ხატავენ. ასევე, ამბობენ, რომ მათი დამკვირვებლებიც, წარმომადგენლებიც, მედიაც შესულნი ყოფილან შეთქმულებაში, ანუ ყველა ის, ვინც მონაწილეობდა საარჩევნო პროცესში.

— ნაცებისთვის 13-მილიონიანი დაფინანსება გადამწყვეტ როლს არ ასრულებს. როგორც ითქვა, მათ აქვთ თავიანთი დაფინანსების წყაროები, ნაძარცვი ფული. სამი ტელევიზიის შენახვა, იცით, რა ღირს? რამდენი სააგენტო და ახალგაზრდული მოძრაობა აქვთ კიდევ? ეს ფული ოფშორებიდან მოდის და „ოცნების“ ხელისუფლება კიდევ არაფერს არ აკეთებს ამის აღსაკვეთად. თან, თვითონვე ამტკიცებენ, ნაძარცვი ფულიაო და ნაძარცვი ფულით მუშაობს ტელევიზიები — „მთავარი“, „ფორმულა“ და „ტვ პირველი“. მარტო ნიკა გვარამიას აქვს 50 ათასი დოლარი ხელფასი.

— თქვენ ძალის ოფისი ახსენეთ, რომელიც მართავს ამ პროცესებს საქართველოში. რომელი ძალები იგულისხმეთ და რა არის ამ ძალის საბოლოო მიზანი?

— ის ძალები, რომლებსაც უნდათ აქ სიტუაციის თავის სასარგებლოდ გარდატეხა. არიან ძალები მსოფლიოში, რომლებსაც მუდმივი დესტაბილიზაციის სურვილი აქვთ. ამით ისინი რაიმე კონკრეტულ გეოპოლიტიკურ მიზანს კი არ აღწევენ, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მათი მიზანი ზუსტადაც არის ყველგან არეულობა, ყველგან ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლების მოშლა.

— სოროსის ხაზს გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, ეს არის არდაშვება რაიმე ტიპის დიდი წესრიგის, არდაშვება ადგილებზე რაიმე ტიპის ძალის ფორმირების წარმოქმნის, ეს არის მათი მიზანი ყველგან და ყველა ეროვნულ სახელმწიფოში. მათ კონცეფციაშია, რომ ერის, სახელმწიფოს ცნება გააქრონ, როგორც სივრცის მოწესრიგების საშუალება.

— ისე, მსოფლიოშიც რაღაცები იცვლება. არავინ არ ელოდა, რომ ცნობილი „ევროპის სახალხო პარტია“ ნაცების უპირობო მხარდაჭერაზე დაფიქრდებოდა. ეს ნიშნავს, რომ სიტუაცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდაა?

— ამ ხელისუფლების სასარგებლოდ დასავლეთში სიტუაცია აშკარად შეცვლილია, ჩვენ ამას ვხედავთ დასავლეთის გარკვეულ წრეებში., იმავე პომპეოს ვიზიტი ავიღოთ, ეუთო-ოდირმა, საელჩოებმა, ყველამ აღიარა არჩევნების შედეგები, მაგრამ ეს დასავლეთის ერთი სფეროა, მეორე სფეროა, რაზეც მე ვლაპარაკობ. ეს ის ძალებია, რომლებიც შეერთებულ შტატებშიც კი იმავეს აკეთებენ, რასაც საქართველოში. რაც ხდება ამერიკაში ტრამპის წინააღმდეგ, დაახლოებით იგივე ხდება აქაც. რა აერთიანებთ ამერიკელ დემოკრატებს და ნაცმოძრაობას? აერთიანებთ ერთიანი იდეოლოგიური გენეზისი და ერთიანი განწყობა. შევხედოთ, როგორ ჰგვანან ჩვენი მედია და თუნდაც „სიენენი“ და ამერიკის მეინსტრიმული მედიასაშუალებები ერთმანეთს. სხვათა შორის, დიდი სკანდალია იქ ატეხილი... **„ვერიტასი“ ასეთი საიტია,** ისინი ორი თვის განმავლობაში ჩაერთვნენ „სიენენის“ ონლაინკონფერენციებში, თუ როგორ იგეგმებოდა „სიენენის“ სარედაქციო პოლიტიკა და საოცრება მოხდა, დადასტურდა, რომ ეს არავითარი საინფორმაციო არხი არ არის და პირდაპირ ემსახურება დემოკრატებს, **პირდაპირ გეგმავდნენ, ვინ ჩაეხშოთ, ვინ დაესაჯათ**. ეს საოცრებაა და ზუსტად იგივეა ჩვენთანაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან არც არავინ არ მალავს ამას. ერთმანეთს ჰგვანან ტყუპის ცალებივით. ახლა ჩვენი ოპოზიციის დაშლაზე ლაპარაკობენ. **ოპოზიციური ერთობა არ იშლება იქიდან გამომდინარე, რომ უფრო ძლიერ ძალას დირექტივა გაცემული აქვს.** გაყალბებაზე ლაპარაკს რომ დაიწყებდნენ, ეს ყველამ წინასწარ ვიცოდით. წინასწარ აცხადებდნენ, რომ დაიწყებდნენ ზუსტად ისე, როგორც დააანონსეს, იმდენად იყვნენ ამისთვის მზად და იმდენად არ იყვნენ მზად სამუშაოდ, რომ არაფერი არ გააკეთეს, მარტო გაიძახიან, გაყალბდა — გაყალბდაო. მედიაც მაგათია, მათ არ აინტერესებთ რეალობა, არ აინტერესებთ სიმართლე, მათთვის ეს დრომოჭმული კატეგორიებია, მათ აინტერესებთ მხოლოდ ცირკი.

სხვათა შორის, ჩვენს ხელისუფლებასაც აქვს რეალობის პირით ჩანაცვლების ვნება და ხშირად ამის გამო ცხვირს იმტვრევენ, რადგან ხელისუფლებას ეს ყოველთვის ცუდად უტრიალდება. ეს მაგონებს გოეთეს „ფაუსტს“, მეფისტოფელი რომ ამბობს, რად გინდა, რეალურად რაღაცის მიღწევა, როცა ამის გათამაშებაც შეიძლება. საერთოდ, ეშმაკის დამახასიათებელი თვისებაა, მას სიმართლე კი არ უნდა, არამედ იმიტაცია. მე ამას ვხედავ თანამედროვე სამყაროში. ყველაფრის გაპირარება ეს უკვე მეფისტოფელის სცენარია.

— ელჩების როლი როგორია? თქვენ ახსენეთ, რომ ძალის ცენტრი მართავს ამ პროცესებს, საქართველოში მოქმედი ელჩებიც ემორჩილებიან ძალის ცენტრს?

— ეჭვი გეპარებათ, რომ ელჩებს არ აქვთ ინფორმაცია ძალის ცენტრის შესახებ? ელჩები მოუწოდებენ ჩვენს ოპოზიციას, შევიდნენ პარლამენტში, რადგან ელჩები სხვა ძალას წარმოადგენენ. ამერიკის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის ელჩები ისეთ ძალებს წარმოადგენენ დასავლეთში, რომელთაც არ უნდათ საქართველოში დესტაბილიზაცია. ისინი გეოპოლიტიკურად უყურებენ ამ ყველაფერს, ვერანაირ გარანტიებს ვერ გვაძლევენ ნატოს ან რაიმე სხვა ფორმით ქოლგა რომ გადაგვაფარონ, მაგრამ არც ის უნდათ, საქართველო გახლიჩონ შუაზე რუსეთმა და თურქეთმა. ეს საფრთხე არსებობს. ელჩები ხედავენ ოპოზიციის მისწრაფებას, დესტრუქცია მოაწყონ, იციან, საიდან მოდის ეს დირექტივა, ცდილობენ, ოპოზიციაზე ზეგავლენა მოახდინონ, მაგრამ ვერ ახდენენ. ოპოზიცია პირდაპირ ელჩებისა და ყველა იმ ადამიანის ლანძღვა-გინებაზე გადადის, ვინც მათ მოუწოდებს, არ არიონ სიტუაცია. ე.წ. ოპოზიციისთვის პარლამენტში შესვლა მეათეხარისხოვანია, მათ სიტუაციის არევა უნდათ. დაწყებული ჯარედ კუშნერიდან, ტრამპიდან, საფრანგეთის, გერმანიის ელჩებიდან, ყველას ლანძღავენ...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

სოსო მანჯავიძე: ელჩებს არ უნდათ, საქართველო შუაზე გახლიჩონ რუსეთმა და თურქეთმა!

— ნაცებისთვის 13-მილიონიანი დაფინანსება გადამწყვეტ როლს არ ასრულებს. როგორც ითქვა, მათ აქვთ თავიანთი დაფინანსების წყაროები, ნაძარცვი ფული. სამი ტელევიზიის შენახვა, იცით, რა ღირს? რამდენი სააგენტო და ახალგაზრდული მოძრაობა აქვთ კიდევ? ეს ფული ოფშორებიდან მოდის და „ოცნების“ ხელისუფლება კიდევ არაფერს არ აკეთებს ამის აღსაკვეთად. თან, თვითონვე ამტკიცებენ, ნაძარცვი ფულიაო და ნაძარცვი ფულით მუშაობს ტელევიზიები — „მთავარი“, „ფორმულა“ და „ტვ პირველი“. მარტო ნიკა გვარამიას აქვს 50 ათასი დოლარი ხელფასი.

— თქვენ ძალის ოფისი ახსენეთ, რომელიც მართავს ამ პროცესებს საქართველოში. რომელი ძალები იგულისხმეთ და რა არის ამ ძალის საბოლოო მიზანი?

— ის ძალები, რომლებსაც უნდათ აქ სიტუაციის თავის სასარგებლოდ გარდატეხა. არიან ძალები მსოფლიოში, რომლებსაც მუდმივი დესტაბილიზაციის სურვილი აქვთ. ამით ისინი რაიმე კონკრეტულ გეოპოლიტიკურ მიზანს კი არ აღწევენ, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მათი მიზანი ზუსტადაც არის ყველგან არეულობა, ყველგან ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლების მოშლა.

— სოროსის ხაზს გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, ეს არის არდაშვება რაიმე ტიპის დიდი წესრიგის, არდაშვება ადგილებზე რაიმე ტიპის ძალის ფორმირების წარმოქმნის, ეს არის მათი მიზანი ყველგან და ყველა ეროვნულ სახელმწიფოში. მათ კონცეფციაშია, რომ ერის, სახელმწიფოს ცნება გააქრონ, როგორც სივრცის მოწესრიგების საშუალება.

— ისე, მსოფლიოშიც რაღაცები იცვლება. არავინ არ ელოდა, რომ ცნობილი „ევროპის სახალხო პარტია“ ნაცების უპირობო მხარდაჭერაზე დაფიქრდებოდა. ეს ნიშნავს, რომ სიტუაცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდაა?

— ამ ხელისუფლების სასარგებლოდ დასავლეთში სიტუაცია აშკარად შეცვლილია, ჩვენ ამას ვხედავთ დასავლეთის გარკვეულ წრეებში., იმავე პომპეოს ვიზიტი ავიღოთ, ეუთო-ოდირმა, საელჩოებმა, ყველამ აღიარა არჩევნების შედეგები, მაგრამ ეს დასავლეთის ერთი სფეროა, მეორე სფეროა, რაზეც მე ვლაპარაკობ. ეს ის ძალებია, რომლებიც შეერთებულ შტატებშიც კი იმავეს აკეთებენ, რასაც საქართველოში. რაც ხდება ამერიკაში ტრამპის წინააღმდეგ, დაახლოებით იგივე ხდება აქაც. რა აერთიანებთ ამერიკელ დემოკრატებს და ნაცმოძრაობას? აერთიანებთ ერთიანი იდეოლოგიური გენეზისი და ერთიანი განწყობა. შევხედოთ, როგორ ჰგვანან ჩვენი მედია და თუნდაც „სიენენი“ და ამერიკის მეინსტრიმული მედიასაშუალებები ერთმანეთს. სხვათა შორის, დიდი სკანდალია იქ ატეხილი... **„ვერიტასი“ ასეთი საიტია,** ისინი ორი თვის განმავლობაში ჩაერთვნენ „სიენენის“ ონლაინკონფერენციებში, თუ როგორ იგეგმებოდა „სიენენის“ სარედაქციო პოლიტიკა და საოცრება მოხდა, დადასტურდა, რომ ეს არავითარი საინფორმაციო არხი არ არის და პირდაპირ ემსახურება დემოკრატებს, **პირდაპირ გეგმავდნენ, ვინ ჩაეხშოთ, ვინ დაესაჯათ**. ეს საოცრებაა და ზუსტად იგივეა ჩვენთანაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან არც არავინ არ მალავს ამას. ერთმანეთს ჰგვანან ტყუპის ცალებივით. ახლა ჩვენი ოპოზიციის დაშლაზე ლაპარაკობენ. **ოპოზიციური ერთობა არ იშლება იქიდან გამომდინარე, რომ უფრო ძლიერ ძალას დირექტივა გაცემული აქვს.** გაყალბებაზე ლაპარაკს რომ დაიწყებდნენ, ეს ყველამ წინასწარ ვიცოდით. წინასწარ აცხადებდნენ, რომ დაიწყებდნენ ზუსტად ისე, როგორც დააანონსეს, იმდენად იყვნენ ამისთვის მზად და იმდენად არ იყვნენ მზად სამუშაოდ, რომ არაფერი არ გააკეთეს, მარტო გაიძახიან, გაყალბდა — გაყალბდაო. მედიაც მაგათია, მათ არ აინტერესებთ რეალობა, არ აინტერესებთ სიმართლე, მათთვის ეს დრომოჭმული კატეგორიებია, მათ აინტერესებთ მხოლოდ ცირკი.

სხვათა შორის, ჩვენს ხელისუფლებასაც აქვს რეალობის პირით ჩანაცვლების ვნება და ხშირად ამის გამო ცხვირს იმტვრევენ, რადგან ხელისუფლებას ეს ყოველთვის ცუდად უტრიალდება. ეს მაგონებს გოეთეს „ფაუსტს“, მეფისტოფელი რომ ამბობს, რად გინდა, რეალურად რაღაცის მიღწევა, როცა ამის გათამაშებაც შეიძლება. საერთოდ, ეშმაკის დამახასიათებელი თვისებაა, მას სიმართლე კი არ უნდა, არამედ იმიტაცია. მე ამას ვხედავ თანამედროვე სამყაროში. ყველაფრის გაპირარება ეს უკვე მეფისტოფელის სცენარია.

— ელჩების როლი როგორია? თქვენ ახსენეთ, რომ ძალის ცენტრი მართავს ამ პროცესებს, საქართველოში მოქმედი ელჩებიც ემორჩილებიან ძალის ცენტრს?

— ეჭვი გეპარებათ, რომ ელჩებს არ აქვთ ინფორმაცია ძალის ცენტრის შესახებ? ელჩები მოუწოდებენ ჩვენს ოპოზიციას, შევიდნენ პარლამენტში, რადგან ელჩები სხვა ძალას წარმოადგენენ. ამერიკის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის ელჩები ისეთ ძალებს წარმოადგენენ დასავლეთში, რომელთაც არ უნდათ საქართველოში დესტაბილიზაცია. ისინი გეოპოლიტიკურად უყურებენ ამ ყველაფერს, ვერანაირ გარანტიებს ვერ გვაძლევენ ნატოს ან რაიმე სხვა ფორმით ქოლგა რომ გადაგვაფარონ, მაგრამ არც ის უნდათ, საქართველო გახლიჩონ შუაზე რუსეთმა და თურქეთმა. ეს საფრთხე არსებობს. ელჩები ხედავენ ოპოზიციის მისწრაფებას, დესტრუქცია მოაწყონ, იციან, საიდან მოდის ეს დირექტივა, ცდილობენ, ოპოზიციაზე ზეგავლენა მოახდინონ, მაგრამ ვერ ახდენენ. ოპოზიცია პირდაპირ ელჩებისა და ყველა იმ ადამიანის ლანძღვა-გინებაზე გადადის, ვინც მათ მოუწოდებს, არ არიონ სიტუაცია. ე.წ. ოპოზიციისთვის პარლამენტში შესვლა მეათეხარისხოვანია, მათ სიტუაციის არევა უნდათ. დაწყებული ჯარედ კუშნერიდან, ტრამპიდან, საფრანგეთის, გერმანიის ელჩებიდან, ყველას ლანძღავენ...

ნუ გეშინიათ, „პატარებო“, შედით პარლამენტში!

„ნაცებს“ და „ევრონაცებს“ წნეხის ქვეშ ჰყავთ მცირე ოპოზიციური პარტიები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში შესვლისკენ იხრებიან“

„გამოჟონა ინფორმაციამ, რომ „ნაცებს“ და „ევრონაცებს“ უსასტიკესი წნეხის ქვეშ ჰყავთ ის მცირე ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც ბარიერი გადალახეს და პარლამენტში შესვლისკენ იხრებიან. ემუქრებიან, რომ დაუხშობენ საინფორმაციო სივრცეს „ნაცტელევიზიებში,“ მოუწყობენ არნახულ ბულინგს სოცქსელებში და პარტიული ტელეარხებით (შემსრულებლები ბლომად ჰყავთ). მოკლედ, სასტიკად დასჯიან“, — ამის შესახებ ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე სოციალურ ქსელში წერს.

* * *

„ე.წ. „ოპოზიციური ერთობიდან“ ინფორმაცია უკვე ისე ჟონავს, როგორც საცერიდან წყალი. ჯერ იყო და ხელისუფლებასთან წარსადგენმა მათმა გეგმამ გაჟონა მესამე რაუნდამდე ერთი დღით ადრე და სამართლიანად გახდა ქილიკის ობიექტი, იმდენად იყო აცდენილი საღ აზრს. გამოჟონა ასევე ინფორმაციამ, რომ „ნაცებს“ და „ევრონაცებს“ უსასტიკესი წნეხის ქვეშ ჰყავთ ის მცირე ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც ბარიერი გადალახეს და პარლამენტში შესვლისკენ იხრებიან. ემუქრებიან იმით, რომ დაუხშობენ საინფორმაციო სივრცეს „ნაცტელევიზიებში,“ მოუწყობენ არნახულ ბულინგს სოცქსელებში და პარტიული ტელეარხებით (შემსრულებლები ბლომად ჰყავთ)... მოკლედ სასტიკად დასჯიან. როგორც ჩანს ეს პარტიები იმდენად არიან დაშინებულ-დაშანტაჟებულნი, რომ იძულებული არიან ნაცების მიერ თავსმოხვეულ თამაშის წესებს დაემორჩილონ. ამიტომაც არის, რომ ტელეკამერების წინ აკეთებენ ორაზროვან კომენტარებს და უკან დასახევ გზას მაინც იტოვებენ. უახლოეს დღეებში მათ მოუწევთ უპირველესად მათსავე ამომრჩეველს დაანახონ, რომ თვითკმარი და დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციები არიან და არა სააკაშვილის დაკრულზე მოცეკვავე „პარტიუკები.“ დრო მათ საწინააღმდეგოდ მუშაობს, რადგანაც რაც უფრო მეტად აღიქმებიან „ნაცების“ სატელიტებად, მით უფრო დიდი ექნებათ ელექტორალური დანაკარგი“, — წერს ზაალ ანჯაფარიძე.

პანდემიას ცოტანი თუ გადაურჩნენ. COVID-19 თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო. როგორც სტატისტიკა მოწმობს, დეკემბრის მონაცემებით მსოფლიოში ინფექცია შეეხო 63 მილიონ ადამიანს. მათგან 1,25 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა. მაგრამ ბევრად უფრო მეტს – მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს – შეეხო ამკრძალავი ზომები, რომელთა მეშვეობითაც მთავრობები ცდილობენ, შეაკავონ ვირუსის გავრცელება. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ მასშტაბის ზომებს ატარებენ.

ზოგმა ქვეყანამ დიდი მოცულობის ფისკალური სახსრები გაიღო კომპანიების, ოჯახებისა და დაუცველი პირების დასახმარებლად. მთლიანობაში, 2020 წლის მარტიდან მოყოლებული, ამ ხარჯებმა 12 ტრილიონ დოლარზე მეტი შეადგინა.

მიუხედავად ამ უზარმაზარი მოცულობის დახმარებისა, ეკონომიკა მთელ მსოფლიოში განიცდიდა დაღმასვლას. ეკონომიკური საქმიანობა ზოგან თითქმის ჩაკვდა, სერიოზულად დაბრკოლდა მოგზაურობა, მიწოდების ჯაჭვები და სხვ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პროგნოზით, 2020 წელს გლობალური საერთო შიდა პროდუქტი 4,5%-ით შემცირდება.

ნოემბრის ბოლოს გამოქვეყნდა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) კვლევა, რომელშიც გამოთქმულია გაფრთხილება, რომ პანდემიით გამოწვეული კრიზისის წყალობით დამატებით 130 მილიონი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს უკიდურეს სიღატაკეში, უთანასწორობა გაიზრდება და დაუცველობის პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება. პანდემიასთან დაკავშირებული შიში კიდევ უფრო გაღრმავდა 2020 წლის ბოლო თვეებში, როცა ინფექციის მეორე ტალღა აღინიშნა ევროპის დიდ ნაწილში, აშშ-სა და ბევრ სხვა ქვეყანაში.

ასეთ ვითარებაში რა შანსები არსებობს 2021 წელს მსოფლიო ეკონომიკის გამოსაჯანსაღებლად?

საქართველოსთვის სიღატაკესთან გამკლავება რთულია, მაგრამ... შესაძლებელი!

გამოკეთდება თუ არა COVID-19-ით დაზარალებული მსოფლიო ეკონომიკა 2021 წელს?

მხსნელი ვაქცინები?

თითქმის ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ ეკონომიკის აღდგენა დიდად იქნება დამოკიდებული კორონავირუსის ეფექტიან ვაქცინაზე. მთელი ყურადღება მიპყრობილია რამდენიმე პროექტის მიმართ. მათ შორის მინიმუმ სამი დასავლეთშია – ესენია Pfizer/BioNTech-ის, Moderna-სა და AstraZeneca-სა და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროდუქტები. როგორც გამოცდამ დაადასტურა, Pfizer/BioNTech-ის ვაქცინის ეფექტიანობა 90%-ს აღემატება. მართალია, ეს ვაქცინები სწრაფად დამტკიცების პროცედურებს გადის, მაგრამ ჯერჯერობით არცერთისთვის არ აუნთიათ საბოლოო მწვანე შუქი.

რუსეთს თავი მოაქვს იმით, რომ ის პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც დაამტკიცა ვაქცინა (Sputnik-V), მაგრამ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ბევრი ეჭვით უყურებს რუსეთის ამ ვაქცინის დამტკიცების დაჩქარებულ პროცესს.

ბაზარზე ვაქცინის მალე გამოჩენის იმედებმა, თავის მხრივ, გააჩინა სხვა იმედები – რომ ცხოვრება და ეკონომიკა უფრო ადრე დაუბრუნდება ნორმალურ კალაპოტს, ვიდრე აქამდე ფიქრობდნენ. თუმცა ზოგი ექსპერტი გვაფრთხილებს, რომ ნაჩქარევ ოპტიმიზმს არ უნდა მივეცეთ, რადგან ვაქცინის წარმოება და მიწოდება რთულ ლოჯისტიკურ პროცესებთანაა დაკავშირებული.

მაგალითად, Pfizer-მა ნოემბრის დასაწყისში განაცხადა, რომ წელს შეუძლია 50 მილიონი დოზა ვაქცინის წარმოება, რაც 25 მილიონ ადამიანს დაიცავდა. კომპანიის თანახმად, ვაქცინის პროდუქცია 1,3 მილიარდამდე გაიზრდება 2021 წლის ბოლოსთვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს მოსახლეობა 7,5 მილიარდს შეადგენს, ეს ვერ არის ძალიან ოპტიმისტური პერსპექტივა.

როგორც გიგანტური საინვესტიციო კომპანია UBS-ის წარმომადგენელმა აქსელ ვებერმა განაცხადა, ვაქცინის პირობებშიც კი, დიდი დრო დასჭირდება ეკონომიკის კვლავ ფეხზე დაყენებას. „სულ მცირე, ერთი წელი მაინც იქნება საჭირო კრიზისამდელი საერთო შიდა პროდუქტის დონის მისაღწევად. კიდევ ერთი ან ორი წელი მოხმარდება იმას, რომ უმუშევრობისა და ზრდის მაჩვენებლები კრიზისამდელს დაუახლოვდეს. ამგვარად, საკმაოდ ხანგრძლივი აღდგენითი პროცესი გველის“, უთხრა ვებერმა CNBC-ს.

ხოლო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის განყოფილების დირექტორმა ჰანს კლუგემ 18 ნოემბერს მკაცრად გაგვაფრთხილა, რომ ევროპა კვლავაც ეპიდემიის ეპიცენტრია აშშ-სთან ერთად. „გვირაბის ბოლოს სინათლე მოჩანს, მაგრამ ეს ექვსი თვე ძალიან რთული იქნება“, თქვა კლუგემ.

არათანაბარი აღდგენა?

UNCTAD-ის თანახმად, COVID-19-ის პანდემიით მიყენებული ზარალის მასშტაბს თუ გავითვალისწინებთ, არ არის სავარაუდო, რომ რაიმე სახით აღდგენამ შეძლოს ზარალის ანაზღაურება.

როგორც მის 19 ნოემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშშია ნათქვამი, ეკონომიკური შედეგები „კიდევ დიდხანს იქნება საგრძნობი მომავალში, განსაკუთრებით ყველაზე ღატაკებისა და დაუცველებისთვის“. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ მსოფლიოში სიღატაკე კვლავ იზრდება, პირველად 1998 წლის აზიური ფინანსური კრიზისის შემდეგ.

როგორც UNCTAD-ის გენერალური მდივანი მუხისა კიტუი ამბობს, ვირუსის გავრცელებას ხელი შეუწყო გლობალიზაციისთვის დამახასიათებელმა ურთიერთდაკავშირებულობამ, როცა „ჯანდაცვის გლობალური კრიზისი იქცა გლობალურ ეკონომიკურ შოკად, რომლის ყველაზე მძიმე დარტყმა ყველაზე დაუცველებმა მიიღეს“.

უფრო ღატაკ ქვეყნებს რომ უფრო გაუჭირდებათ კრიზისიდან გამოსვლა, ამ იდეას ეხმიანება ვაშინგტონში მოქმედი საერთაშორისო ფინანსების ინსტიტუტის (IIF) მთავარი ეკონომისტი ელინა რიბაკოვაც. **„განვითარებადი ბაზრები განსაკუთრებით მგრძნობიარეა მობილურობის აკრძალვის, ვაჭრობაში, ტურიზმსა და უცხოეთიდან შინ ფულის გაგზავნაში დაბრკოლებების მიმართ“,** – უთხრა მან „რადიო თავისუფლებას“.

COVID-19-მა შესაძლოა გაზარდოს უფსკრული არა მხოლოდ ქვეყნებს შორის, არამედ თავად ქვეყნების შიგნითაც.

მაგალითად, Bloomberg-ის კვლევის თანახმად, კრემლი რეგიონულ მთავრობებს აიძულებს, მეტი ფული ისესხონ ჯანდაცვისა და პანდემიასთან დაკავშირებული სხვა მზარდი სოციალური ხარჯების დასაფარად. **„უფრო ძლიერი რეგიონები გაძლიერდებიან, ყველაზე სუსტები კი კიდევ უფრო დასუსტდებიან“,** – განუცხადა Bloomberg-ს მოსკოვის Transfingroup-ის ფინანსურმა მენეჯერმა სტანისლავ პონომარიოვმა.

ჩინეთი გაძლიერდება?

ანალიტიკოსების პროგნოზების მიხედვით, COVID-19-ის შემდგომ პერიოდში იქნებიან წაგებულები, მაგრამ შესაძლოა – მოგებულებიც ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკური თვალსაზრისით.

ჩინეთი, სადაც აღმოჩნდა პირველად ახალი კორონავირუსი, როგორც ჩანს, უკვე იწყებს ყველაზე უარესი კრიზისიდან გამოსვლას. მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკა წელს მესამე კვარტალში 4,9%-ით გაიზარდა შარშანდელ მესამე კვარტალთან შედარებით. ეს ნაკლებია ეკონომისტების მიერ ნავარაუდევ 5,2%-ზე, მაგრამ საერთო შიდა პროდუქტის სტატისტიკა აჩვენებს, რომ ჩინეთი ლიდერობს ეკონომიკის აღდგენის გზაზე.

თითქმის ხუთპროცენტიანი ზრდა დიდი წინსვლაა წლის დასაწყისთან შედარებით, როცა მთელ ქვეყანაში დაიხურა ქარხნები და ჩინეთის ეკონომიკა 6,8%-ით შემცირდა პირველ კვარტალში. ეს ეკონომიკის შემცირების პირველი შემთხვევა იყო მას შემდეგ, რაც ჩინეთმა კვარტალური მონაცემების აღრიცხვა დაიწყო 1992 წელს. ანალიტიკოსების აზრით, კრიზისის შესუსტება ნათელყოფს, რომ ზოგიერთი დრაკონული აკრძალვისა და სამთავრობო მასტიმულირებელი ზომების კომბინაციამ შედეგი გამოიღო.

მუშებს გაუჭირდებათ!..

პანდემიამ ასევე განსხვავებული პრობლემები შეუქმნა ფიზიკური და გონებრივი შრომით მომუშავეებს. „ოფისში მომუშავეები განაგრძობენ საკუთარ სამზარეულოებსა და საძინებელ ოთახებში მუშაობას, კვირის გარკვეული ნაწილი მაინც. ხოლო დაბალანაზღაურებადმა დასაქმებულებმა, რომლებიც ადრე ოფიციანტებად, დამლაგებლებად და გამყიდველებად მუშაობდნენ, ახალი სამუშაო უნდა იპოვონ გარეუბნებში“, წერს ბრიტანული საფინანსო გამოცემა Economist-ი.

გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, 2020 წლის პირველ ცხრა თვეში მსოფლიო მასშტაბით სამუშაო საათები 11,7%-ით შემცირდა, რაც 332 მილიონი სრულგანაკვეთიანი სამუშაო ადგილის ეკვივალენტია. სამუშაო საათების კლებამ გამოიწვია შემოსავლის კლება, რაც 3,5 ტრილიონ დოლარს, ანუ მსოფლიო საერთო შიდა პროდუქტის 5,5%-ს უდრის. როგორ გამოსწორდება შრომის ბაზრები 2021 წელს, ეს მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული პანდემიის ტრაექტორიასა და მთავრობების რეაგირებაზე.

რა ფაქტორებია გადამწყვეტი?

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პროგნოზით, 2021 წელს ეკონომიკა 5%-ით გაიზრდება და კვლავ გააგრძელებს ზრდის კურსს. მაგრამ ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის იმაზე, თუ რამხელა იქნება ვირუსის ხელახლა გაჩენის ალბათობა, რამდენად კარგად დაიცავენ ადამიანები ამკრძალავ ზომებს, რამდენად წარმატებული იქნება მთავრობის ჩარევა მასტიმულირებელი ზომების გატარებაში.

მთავრობები რთული არჩევანის წინაშე იქნებიან იმის გადაწყვეტისას, თუ როდის ჩაერიონ და როდის გადგნენ განზე და ბაზარს მიანდონ საქმე, განაცხადა რიბაკოვამ.

მისი თქმით, ეკონომიკის რაიმე სახით გამოკეთება ხანგრძლივი პროცესი იქნება.

„ბევრი ქვეყანა უახლოეს წლებში ვერ დაუბრუნდება 2020 წლამდელ დონეს“, – უთხრა მან „რადიო თავისუფლებას“.

ეკონომიკის წამყვანი სპეციალისტებისა და ორგანიზაციების პროგნოზები მეტყველებს, რომ საქართველოს ტიპის ღარიბი ქვეყნები ორმაგი დარტყმის ქვეშ არიან. თუკი ეკონომიკის განვითარება ამ ქვეყნებში COVID-19-ის კრიზისის გარეშეც შეფერხებული იყო, პანდემიისა და პოსტპანდემიის პირობებში სიღატაკესთან გამკლავება ბევრად უფრო რთული იქნება. ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ ორნიშნა რიცხვით მატებამ შეიძლება გამოიყვანოს ქვეყანა სიღატაკიდან. მაგრამ შესაძლოა წლები დასჭირდეს როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი ეკონომიკის ისე აღდგენას, რომ ამგვარმა ზრდამ რეალისტური კონტურები შეიძინოს.

ტონი ვესოლოვსკი

ისევ ამერიკა!

აშშ პანდემიის შემდეგ ეკონომიკური აღდგენისთვის საქართველოს დახმარებას გამოუყოფს. კერძოდ, საელჩოს ცნობით, აშშ-ის მთავრობა დააფინანსებს უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო ფირმა OCO Global-ს, რომელიც გამოავლენს და ხელს შეუწყობს მაღალანაზღაურებადი ინვესტიციების შესაძლებლობებს საქართველოს ეკონომიკაში.

იმისათვის, რომ საქართველოს კერძო სექტორს COVID-19 პანდემიის შემდეგ აღდგენაში დავეხმაროთ, აშშ-ის მთავრობა დააფინანსებს უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო ფირმა OCO Global-ს, რომელიც გამოავლენს და ხელს შეუწყობს მაღალანაზღაურებადი ინვესტიციების შესაძლებლობებს საქართველოს ეკონომიკაში.

ასევე, შეუწყობს ხელს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკის პოტენციალის შესახებ მსხვილ საერთაშორისო ინვესტორებთან ცნობიერების ამაღლებას. აშშ-ის მთავრობა აღნიშნულ დაფინანსებას USAID-ის მეშვეობით გამოყოფს და საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად სააგენტოსთან „აწარმოე საქართველოში“ თანამშრომლობს.

10 დეკემბერი მეგზევის დღეა!

კარგი გზა ქვეყნის მეტი ეკონომიკური სიძლიერე, მეტი სიცოცხლეა!

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება გულითადად ულოცავს საქართველოს მეგზევეთა დიდ არმიას პროფესიულ დღესასწაულს და უსურვებს მათ, ოჯახის წევრებთან ერთად, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს, დაუღალავ შრომას და შემოქმედებით საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ქვეყანაში გამძვინვარებული კორონა, ვირუსის პანდემიის მიუხედავად, 2020 წელი ერთ-ერთი წარმატებული წელი იყო საქართველოს მეგზევეთა ცხოვრებაში, მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ თითქმის არ შეხებიათ შეზღუდვები და მეგზევეთა მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად მრავალი საგზაო ინფრასტრუქტურული ობიექტი გადაეცა ექსპლუატაციაში.

დასრულდა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაკვეთი, აქტიურად მიმდინარეობს რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა.

დასრულდა აგრეთვე რუსთავი-წითელი ხიდისა და რუსთავი-სადახლოს მონაკვეთების დეტალური პროექტირების სამუშაოები და მალე გამოცხადდება ტენდერი მათ მშენებლობაზე.

გარდა ჩქაროსნული ავტომაგისტრალისა, ათეულობით სახიდე გადასასვლელი აიგო და ასეულობით კილომეტრი გზის რეაბილიტაცია-განახლების სამუშაოები განხორციელდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე.

ქვეყნის უმეტესი მუნიციპალიტეტებისთვის პრიორიტეტული მიმართულება იყო საგზო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისა და მათი კეთილმოწყობის სამუშაოები.

დღეს საქართველოში, ადგილობრივ მეგზევეებთან ერთად, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, მრავალი უცხო ქვეყნის ფირმები და კომპანიები საქმიანობენ.

მიგვაჩნია, რომ მათი პროფესიული საქმიანობა ჰარმონიზებული უნდა იყოს ადგილობრივი კომპანიების მუშაობასთან, უცხოელთა მოღვაწეობამ საქართველოში ბიძგი უნდა მისცეს ადგილობრივი კომპანიების გამოცდილების ამაღლებას და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, როგორც მშენებლობის, ისე განახლების პროცესში. მაქსიმალურად უნდა იყვნენ დასაქმებული ადგილობრივი სპეციალისტები და მიღებული გამოცდილებით ხელი უნდა შეუწყონ შემდგომში შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის მკვეთრ ზრდას!

* * *

პროფესიულ **დღესასწაულს ვულოცავთ დიდად პატივცემულ მეგზევეებს, საგზაო დარგში დასაქმებულ სამეცნიერო-ტექნიკურ პერსონალს, საგზაო პროფილის სტუდენტ-ახალგაზრდობას და იმედს გამოვთქვამთ, რომ მათი მიზანმიმართული შრომა შესაძლებლობას მოგვცემს, შეიქმნას საგზაო დარგისთვის საჭირო ეროვნული ნორმატიულ-ტექნიკური ბაზა და სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე.**

სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ წლევანდელ პროფესიულ დღესასწაულს ვეღარ მოესწრო ბევრი ვეტერანი მეგზევე... კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ მათ ოჯახებს და შთამომავლებს, ვუსურვებთ მათ მხნეობასა და გამძლეობას.

ბოლოს იმედი უნდა გამოვთქვა, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი ყველა გამოწვევა და სირთულე ჩაივლის, ერთმანეთს ახლოდან მივესალმებით და უფრო ვრცლად ვისაუბრებთ ჩვენს საჭირბოროტო, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე. ყველას გისურვებთ დღეგრძელობასა და ბედნიერებას.

აქვე მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს მეგზევეთა საზოგადოებას და ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებას“ დაგეგმილი აქვთ, 2021-2022 წლებში საქართველოს საგზაო დარგის პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივად დასახონ შთამბეჭდავი ღონისძიებები:

— საქართველოში საგზაო დარგის განვითარების ეტაპებისა და შემდგომი სრულქმნის ისტორიული კრებულის გამოცემა;

— საგზაო დარგში მოღვაწე სპეციალისტების ენციკლოპედიის („საგზაო დარგის მოღვაწეთა ენციკლოპედიის“) გამოცემა;

— დაამუშავონ და ქართულ ენაზე გამოსცენ საგზაო დარგისთვის საჭირო ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია და სახელმძღვანელოები;

— აღდგენილი იქნეს ერთ-ერთი ქართული გაზეთი „შარაგზა“ და უზრუნველვყოთ მისი გამოცემა ყოველ კვარტალურად;

— ქართულ ენაზე დაფუძნდეს სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი სახელწოდებით „საგზაო-სატრანსპორტო სისტემები“, რომელიც გამოვა 6 თვეში ერთხელ და რომელშიც განთავსდება სტატიები მსოფლიოსა და საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო სისტემების განვითარების თვალსაზრისით;

— ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ ბაზაზე ჩამოყალიბდეს საგზაო მოღვაწეთა მუზეუმი;

— ქმედითი დახმარება გაეწიოს სტუდენტებს, მაგისტრებსა და დოქტორანტებს სწავლისა და მომზადების პერიოდში;

— ორგანიზებული იქნეს საგზაო დარგის მუშაკებისთვის (ინჟინრები, ლაბორანტები, ეკონომისტები და სხვა) ორკვირიანი და ერთთვიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები (სემინარები).

კიდევ ერთხელ გილოცავთ მეგზევეთა პროფესიულ დღესასწაულს!

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს მეგზევევეთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.



ფასი ყველაფრის საზომია, პოლონეთის პატივცემულო ელჩო!

პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩი გაოცებას გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების მიერ გზებისა და გვირაბების სამშენებლო პროექტებისთვის ჩინური კომპანიების მოწვევის გამო. Forbes Georgia-სა და BMG-სთან ინტერვიუში ელჩი აცხადებს, რომ პოლონეთს ამ სამუშაოს უკეთესად შესრულება შეუძლია — „მაინტერესებს, რატომ იწვევს საქართველო აქ ჩინურ კომპანიებს გზების მშენებლობისთვის. ჩვენ ისეთი გვირაბების მშენებლობა შეგვიძლია, რომლებიც ჩინურზე უკეთესია“.

მარიუშ მაშკიევიჩი განმარტავს ასევე, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილ თანხას საქართველო ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებიდან იღებს და ამიტომ, საქართველოს მთავრობის მიერ ჩინური კომპანიების დაქირავება არა მხოლოდ მას, არამედ სხვებსაც აოცებს ევროკავშირის ელჩების კლუბში. ელჩის შეფასებით, სამუშაოს შესრულებისას გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს არა ფასი, არამედ — ხარისხი და ევროპის ქვეყნებს შეუძლიათ საქართველოსთვის მაღალ ხარისხთან შესაბამისი „საიმედო“ ფასის შეთავაზება.

„ჩინური კომპანიები გვთავაზობენ ყველაზე დაბალ ფასს და ყველაზე მიმზიდველ პირობებს. ისინი აშენებენ საკუთარი მეთოდით. არ ვამბობ იმას, რომ რაც ჩინურია, ცუდია. თუმცა, ფასი არის უფრო კარგი შეფასების საზომი?

თანხების უმრავლესობა მოდის ევროკავშირიდან, კონკრეტულად ევროპის საინვესტიციო ბანკიდან, რომლითაც საქართველო სარგებლობს. ჩვენ, ევროკავშირის ელჩების კლუბი საქართველოში, ცოტათი გაოცებულები ვიყავით, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ ევროკავშირის თანხებით, საქართველომ ჩინეთთან თანამშრომლობა გადაწყვიტა. რატომ?

ჩვენ ძალიან კარგი კომპანიები გვყავს ავსტრიაში, გერმანიაში, პოლონეთში. ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ მაღალი ხარისხი საიმედო ფასად“, — აცხადებს ინტერვიუში პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩი.

RADIOTAVISUFLEBA.GE

რატომ შეიცვალა ბიძინა ივანიშვილის თითქმის ყველა პროექტის გახსნის თარიღი?!

„თანაინვესტირების ფონდმა“ 60 მილიონი ლარი გაიღო...

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო მწვანე კონცხზე, მარიოტის უმაღლესი კლასის ბრენდის „Luxury Collection თავისუფლების მოედანთან, სასტუმრო და გოლფ კლუბი თაბორის მთაზე, ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო განმუხურში „თანაინვესტირების ფონდმა“ ბიძინა ივანიშვილის თითქმის ყველა პროექტის გახსნის თარიღი გადაავადა. „კომერსანტი“ დაინტერესდა, რამ განაპირობა მრავალმილიონიანი პროექტების გახსნის თარიღების ცვლილება.

„თანაინვესტირების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი ცოტნე ებრალიძე აცხადებს, რომ რამდენიმე სასტუმროს გახსნის თარიღის ცვლილება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უცხოელი ტურისტების ნაკადმა საგრძნობლად იკლო,რაც მისი თქმით, პირველ რიგში, სასტუმრო ინდუსტრიაზე აისახა. ცოტნე ებრალიძეს იმედი აქვს, რომ საერთაშორისო ავიარეისები 2021 წელს ამოქმედდება და ტურიზმის სექტორი კვლავ გააგრძელებს ზრდას.

„სასტუმროების მშენებლობის დასრულება, რომელთა გახსნაც 2020 წელს იგეგმებოდა, დროში გადავადდა, ვინაიდან დღეს საერთაშორისო ტურიზმი დაკეტილია და მოთხოვნა ბაზარზე არ არის. გახსნა კი ნიშნავს კადრების აყვანას, საბრუნავი საშუალებების შეძენას და ა.შ. რაც მნიშვნელოვან ფინანსურ ვალდებულებებთანაა დაკავშირებული და ამიტომ, სანამ მდგომარეობა არ დასტაბილურდება და ავიარეისები არ აღდგება, ამ პროცესის დაწყება ჩვენი მხრიდან გაუმართლებელი ნაბიჯი იქნება. როგორც კი მდგომარეობა დასტაბილურებას დაიწყებს და ავიარეისების აღდგენის ნიშნები იქნება, ჩვენ გახსნისთვის მზადებას დავიწყებთ და ეს პროცესი 4-6 თვეზე მეტს არ წაიღებს. უბრალოდ, პირველ რიგში, მდგომარეობის გამოსწორება უნდა დავინახოთ, რომ ზემოთ აღნიშნული დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღება გამართლებული იყოს“.

ცოტნე ებრალიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ პანდემიასთან დაკავშრებული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, „თანაინვესტირების ფონდი“ 2021 წელს მიზნად ისახავს, თავისუფლების მოედანზე, მარიოტის უმაღლესი კლასის ბრენდის „Luxury Collection“ სასტუმროს გახსნას, ხოლო „აქსის თაუერსში“ სასტუმრო „პულმანის“ და საფეხმავლო ქუჩის გახსნას, რომელიც ჭავჭავაძის გამზირს აბულაძის ქუჩასთან დააკავშირებს და მომხმარებლს მრავალფეროვან კაფეებსა და რესტორნებს შესთავაზებს. მისივე თქმით, 2021 წელსვე იგეგმება სიღნაღში სასტუმროს მშენებლობის დასრულებაც, ხოლო ენერგეტიკის მიმართულებით ებრალიძის განმარტებით, 2021 წლის ბოლოსთვის – მტკვარი ჰესზე ძირითადი სამუშაოების დასრულება. ებრალიძე იმ პროექტებზე საუბრობს, რომელიც ფონდმა 2020 წელს სოფლის მეურნეობის, უძრავი ქონების, მრეწველობის და ენერგეტიკის მიმართულებით განახორციელა:

„როგორც მოგეხსენებათ სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩვენ გვაქვს სამი პროექტი, კერძოდ: „საქართველოს სათბურის კორპორაცია“, „გეოაგრო“ და „ქართული აგროსახლი“. უძრავი ქონების მიმართულებით საქართველოს თანაინვესტირების ფონდის პროექტების ნუსხაში წარმოდგენილია 2 პროექტი: „აქსის თაუერსი“ და „გალერია თბილისი“, მრეწველობის მიმართულებით, ფონდი წარმოდგენილია 1 პროექტის სახით, კერძოდ: „ჰაიდელბერგ ცემენტით“, ხოლო ენერგეტიკის მიმართულებით ჩვენ ვახორციელებთ სამ მსხვილ პროექტს, კერძოდ: „მტკვარი ჰესი“, „ონი 1“ და „ლენტეხი ჰესი“. ამასთანავე, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი 10-მდე პროექტს ახორციელებს, რომლებიც განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა. 2020 წელს ჩვენი მიზანი იყო, აქტიურად გაგრძელებულიყო ყველა ის სამუშაო, რაც დაგეგმილი იყო თითოეულ პროექტთან მიმართებაში“, – განაცხადა ცოტნე ებრალიძემ.

ცოტნე ებრალიძემ საქართველოს უმსხვილესი საინვესტიციო ფონდის წლევანდელი მუშაობის შედეგები შეაფასა და განაცხადა, რომ „თანაინვესტირების ფონდმა“ 2020 წელს მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა.

„მსოფლიოში არსებული პანდემიიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, 2020 წელი ყველა სექტორისთვის გამოწვევა გახლდათ. ჩვენც შევეცადეთ, მაქსიმალურად მოვრგებოდით არსებულ ვითარებას და გვემოქმედა შესაბამისი რეგულაციების თანახმად. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ როგორც საქართველოს თანაინვეტირების, ასევე ტურიზმის განვითარების ფონდმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა შემდეგ სექტორებში: ენერგეტიკა და ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და უძრავი ქონება, სოფლის მეურნეობა და ლოჯისტიკა, წარმოება. ჯამურად „2020 წელს 18-მდე პროექტში 60 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელდა“, – განუცხადა „კომერსანტს“ ცოტნე ებრალიძემ.

ბაჩო ადამია

◎ რეპლიკა

იქნებ მივაგოთ პატივი

მათთვის ჩვენი დედაქალაქი მშობლიურ ქალაქად ითვლებოდა

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი ულამაზესი დედაქალაქი ოდითგანვე წარმოადგენდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს ამიერკავკასიაში და შესაბამისად, უამრავ ცნობილ პიროვნებას მოუწია აქ ცხოვრება. ბევრი მათგანი ხანგრძლივი პერიოდით სტუმრობდა ჩვენს ქალაქს, აფასებდა ქართულ სტუმართმოყვარეობას, მოღვაწეობდა აქ და შემდგომ თავიანთ მემუარებშიც თბილად იხსენებდა თბილისში გატარებულ წლებს. ბევრი მათგანის მოგონებებით გაითქვა სახელი დედათბილისმა და უამრავ ადამიანს აღუძრა სურვილი, სწვეოდა თბილის-ქალაქს და დამტკბარიყო აზიურ-ევროპული ცხოვრების სტილით. პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, გორკი, შალიაპინი, დიუმა-მამა, და-ძმა უორდროპები, მიხაი ზიჩი, შარლემანი არა მარტო სტუმრობდნენ ქალაქს, ბევრი მათგანი საცხოვრებლადაც რჩებოდა გარკვეულ პერიოდში. თბილისელები იყვნენ ტარივერდიევი, ფათალიახუნდოვი და მრავალი სახელოვანი პიროვნება, სპორტსმენი თუ პოლიტიკური მოღვაწე. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ გენიალური კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი, რომლის ძმაც თბილისში მოღვაწეობდა და დიდ კომპოზიტორსაც ხშირად უწევდა ჩვენს ქალაქში ჩამოსვლა. რადგან დასანანია, რომ სოლოლაკში, იმ საუკუნოვან სახლში, სადაც პეტრე ჩაიკოვსკი ცხოვრობდა, წლებია, გაქრა მემორიალური დაფა. ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება ტურიზმია, როდესაც უამრავი თანხა იხარჯება ქალაქის ძველი უბნების რესტავრაცია-გალამაზებაზე და მართლაც წარმატებულად, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ამგვარი მემორიალური დაფების აღდგენა-განახლება, რაც ტურისტებისა და დედაქალაქის სტუმრებისათვის მართლაც საინტერესო იქნება.

იქნებ ცოტათი მაინც მიგვებაძა ჩვენი მეზობელი სომხეთისთვის, რომლებმაც საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი გახსნეს ერევანში და იქ ისეთი ცნობილი პიროვნებები გადმოასვენეს, რომლებსაც არა მარტო ერევანში, არამედ სომხეთშიც არასოდეს უცხოვრიათ. მაგალითისთვის მოვიყვან ტიგრან პეტროსიანს, ფარაჯანოვს, არამ ხაჩატურიანს და გენერალ ბაგრამიანს.

ჩემი, როგორც ძირძველი თბილისელისა და ჩემი სათაყვანებელი ქალაქის ერთ-ერთი გულშემატკივრის თხოვნა და სურვილი იქნება, რომ დედაქალაქის მერიამ და კულტურის სამინისტრომ ჯეროვანი ყურადღება გამოიჩინონ ამ პრობლემის მიმართ. ეს არა მარტო სტუმრებისთვის, არამედ ახალგაზრდა თაობისთვისაც მეტად დამაინტერესებელი იქნება, რადგან მსოფლიოში სახელგანთქმულ პიროვნებებს მართლაც გულით უყვარდათ ჩვენი დედაქალაქი და აქ გატარებული დღეები თუ წლები მათთვის ტკბილი მოგონება იყო.

პატივისცემით,

მალხაზ დოლიძე

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ღირსების ორდენოსანი

რა საჭიროა 90-ზე მეტი დეპუტატი?!

— გვეშველა! — მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით მითხრა ერთმა ჩემმა პოლიტიკურ „კულუარებში“ ღრმად ჩახედულმა ნაცნობმა, ქვეყნის დამაქცევარი ეს ოპოზიცია პარლამენტში არ შედის!

— მერე ერთპარტიული პარლამენტი ივარგებს? — ეჭვით ვეუბნები.

— ერთპარტიულმა სახელმწიფომ მოიგო ყველაზე დიდი ომი კაცობრიობის ისტორიაში! — „იუმორისტულ“ რელსებზე გადაიყვანა საუბარი ჩემმა მოსაუბრემ. — პარტიების თვლა კი არ არის.

— ოპოზიციამ: პარლამენტში არ შევალთ, მუშაობა არ გვინდა, მაგრამ ფული და დაფინანსება გვინდაო, — ცეცხლზე ნავთს ვასხამ.

— არ შევლენ და თავში ქვა უხლიათ, ეყარონ ქუჩაში! მაგრამ უბედურება და თანაც უდიდესი კურიოზი ის არის, რომ ცესკომ თავის მაგინებლებს და დამაქცევრებს მაინც გამოუყო მილიონები!

— რა ქნან „ზევიდან“ უბრძანებდნენ...

— თანაც — „ხელი ხელს ჰბანს, ორივე ერთად — პირსაო“... ესენი უერთმანეთოდ ვერ გაძლებენ და ხალხი, როგორც ყოველთვის, რჩება „აფსაიტში“.

ბევრი ვიკამათეთ, ხან მთის ვთქვით და ხან ბარისა და უცებ ამ დარბაისელმა კაცმა დიალოგში შემოაგდო სიტყვა „რეფერენდუმი“.

— თუ ევროპელობა და დასავლეთელობა გვინდა, საქართველო მათი მიბაძვით რატომ არ ატარებს რეფერენდუმებს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე? მაგალითად, იტალიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში თითქმის ყოველთვე ატარებენ რეფერენდუმებს.

— რა საკითხებზე უნდა ჩაატარონ რეფერენდუმი?

— მაგალითად, **უნდა ჰყავდეს თუ არა საქართველოს პარლამენტში 90-ზე ან 100-ზე მეტი დეპუტატი?**

და ამ განათლებულმა კაცმა 20-ზე მეტი ქვეყანა დამისახელა, სადაც ჩვენზე ბევრად მეტი ხალხი ცხოვრობს და ნაკლები დეპუტატი ჰყავთ!

ამ კაცთან კამათმა ბევრის მხრივ გონების თვალი ამიხილა. მართლაც, რატომ არ შეიძლება ჩავატაროთ ამისი რეფერენდუმი ან რეფერენდუმი საკითხზე: დააფინანსოს თუ არა სახელმწიფომ პარტიები? ჩვენ ხომ ყველა ვხვდებით, რომ ეს ფული წყალში გადაყრილია. უფრო მეტიც, დაფინანსებით სახელმწიფო იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის! მაგალითი? — ინებეთ: ამ პარტიების კონგლომერატი“ ქუჩის უაზრო, თავხედური აქციებით ძირს უთხრის სახელმწიფოს, პირველ რიგში, მორალურად ხრწნის მომავალ თაობებს. და ამ საქმის ავანგარდში არიან პარტიული ტელევიზიები. რომელთაც თავიანთ ეკრანებზე „მოლაყბე ფალავნებად“ გამოჰყავთ სწორედ ოპოზიციური პარტიების ლიდერები. ათეულობით წლებია, ისინი ეკრანიდან არ ჩამოდიან, თავი მოგვაბეზრეს, სიცრუით გაგვბერეს... სწორედ ისეა, **„ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო“**.

ამას კი საშველი იმიტომ არ დაადგა, რომ პარტიებს ვაფინანსებთ, ხოლო **მოსყიდულ-მოქრთამული ტელევიზიები საინფორმაციო ომს** აწარმოებენ საკუთარი ქვეყნის, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. ვიღაც მეტყვის — ასეა მთელ მსოფლიოშიო.

მერე რა, რომ ასეა, სწორედ ეს არის დასაგმობი, რომელიც ქაოსს იწვევს ხალხთა ცხოვრებაში. ფარულად მოქმედი „ფულის ტომრები“ (იგივე ნეოლიბერალები) თაღლითური გზით მართავენ მთელ მსოფლიოს და ამის მაგალითად ამერიკაში ახლახან ჩატარებული არჩევნებიც გამოდგება. თვითონ მილიონერ-მილიარდერმა, მაგრამ შედარებით პროგრესულად მოაზროვნე ტრამპმაც კი ვერაფერი გააწყო მათ წინააღმდეგ.

თითოეული ქვეყნის ფუძემდებლური მიზანია არა მხოლოდ კომფორტულად ცხოვრება, არამედ მომავალი თაობის წესიერად, მორალურ-ზნეობრივად აღზრდა. ჩვენმა მომავალმა თაობამ კი რა ზნეობა უნდა ისწავლოს ეკრანებზე გამოჭენებული ოპოზიციური პარტიების ლიდერებისაგან, რომლებიც სიყალბეს და სიძულვილს აფრქვევენ? რომლებიც ეკრანებიდან იგინებიან და მათ ამისთვის არავინ სჯით? **დაუსჯელობის სინდრომით იზრდება დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდობა და ესაა სწორედ საგანგაშო**. და უცხოეთიდან ჩანერგილი არასამთავრობოები ყალბი „დემოკრატიით“ და „ადამიანთა უფლებების დაცვით“ აპელირებენ, — მათ აქეზებენ და გზა- კვალს ურევენ.

რით უნდა დაიწყოს მუშაობა მომავალმა პარლამენტმა? — კანონები — მათ ხელშია და რეფერენდუმის ჩატარებამდე მიიღონ კანონი, რომლითაც **პარლამენტში შესული 90 დეპუტატი ჩაითვალოს საკონსტიტუციო უმრავლესობად**.

ჩემი აზრით, არის მეორე გზაც(დაე, ეს ნოვაციად ჩამითვალეთ!):

რას ვეხვეწებით ოპოზიციას, პარლამენტში დასკუპდითო? განა იქ დესტრუქციულად მომართულები რაიმე კონსტრუქციულს მოიმოქმედებენ, ან საკონსტიტუციო უმრავლესობას ხმებით შეეშველებიან რაიმე პრობლემის მოსაგვარებლად? თქვენც არ მომიკვდეთ, არ დაიჯეროთ! თუ პარლამენტი ვერ შეელევა 150 დეპუტატის რაოდენობას, ეს რაოდენობა შეივსოს „გარედან“, ხალხიდან, კომპეტენტური ორგანიზაციებიდან. მაგალითად, ამ სამოცი დეპუტატიდან 20-ის **კვოტა** მიეცეს მეცნიერებათა აკადემიას, 20-ისა — მწერალთა კავშირს და 20-ისა — ჟურნალისტთა კავშირს. ანუ: 20 დეპუტატი თავისი რიგებიდან „შეგზავნოს“ მეცნიერებათა აკადემიამ (ამით ცოდნის მნიშვნელობას გაეწიოს დაფასება-პროპაგანდა), 20 დეპუტატი-მწერალთა კავშირმა (ზნეობას და მორალს მიექცეს მთავარი ყურადღება)! და 20-იც ყველაზე გამოჩენილი, აქტიური ჟურნალისტი შევიდეს საკანონმდებლო ორგანოში.

აუცილებელია რევოლუცია და სისხლის დაღვრა, რომ რაიმე ნოვაცია დამკვიდრდეს ქვეყნის ცხოვრებაში? (არ დამიწყოთ ახლა: ეს ხომ კონსტიტუციის დარღვევა იქნებაო!) მივბაძოთ ძველ რომაელებს: **არ ვარგა კანონი? — მალევე შეიცვალოს ახლით!**

ორიოდე სიტყვა ლევან ზურაბაშვილის შეჭრაზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში და მისი მოთხოვნები. ეს მოთხოვნები ხომ ქართველი ხალხის მოთხოვნაა ჩვენი რუტინული ცხოვრების ფონზე! ეს შუქის გამონათებაა გვირაბის ბოლოს! **ეს კაცი ჩვენი დროის არსენა ოძელაშვილია! ამიტომ აფეთქდა სოციალური ქსელები“,** მის მხარდასაჭერად. და ამ მხარდაჭერას მთავრობამ და ახალმა პარლამენტმა ყური უნდა უგდოს და ნაწილობრივ (შეძლებისამებრ) მაინც შეასრულოს ეს მოთხოვნები! ათეულობით წლებია, ეს პრობლემები გვაწუხებს და „ქართულმა ოცნებამ“ მათი გადაწყვეტა ადგილიდან უნდა დაძრას! სწორი იქნება ისიც, თუ ამ ახალგაზრდა კაცს საციხოდ არ გაიმეტებენ და მხოლოდ ფულადი გირაოთი (არა უმეტეს 1000 ლარისა) დასჯიან!

აი, ძვირფასო მკითხველებო, ასე დამაკვალიანა იმ ჩემმა გამოცდილმა მოკამათემ, ზემოთ რომ მოგახსენეთ და რომლის ვინაობასაც, რასაკვირველია, არასდროს გაგიმხელთ!

უშანგი ჯანგირაშვილი
ქ. ბორჯომი

რედაქციისგან:

ამ სტრიქონების ავტორს, ცნობილ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს უშანგი ჯანგშირაშვილს წიგნისთვის „ვაჟა ფშაველას მხატვრულ სამყაროში“ და დაბადების 70 წელთან დაკავშირებით ახლახან ვაჟა-ფშაველას სახელობის ლიტერატურული პრემია მიენიჭა. ჩვენი ბორჯომელი კოლეგა და მეგობარი არის აგრეთვე არაერთი ჟურნალისტური პრემიის მფლობელი, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება. როგორც საზოგადო მოღვაწე და კალამშეუშრობელი პუბლიცისტი დიდი რუდუნებით ემსახურება ბეჭდურ მედიას, განსაკუთრებით — სამხარეო პრესას.

მხნედ, ბატონო უშანგი! უფალმა მალე იხსნას კორონავირუსისგან ჩვენი საფიცარი ქვეყანა, რომ ისევ ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს ბორჯომლიკანის მომაჯადოებელ, ფანტასტიკურ სანახებში.

„ძუკნების ომი“

ამ სათაურით ერთი წერილი რამდენიმე წლის წინ ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნე და ის წერილი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესებს ეხებოდა.

„ძუკნების ომი“ (Сучья война) საბჭოთა გულაგში 1946-1956 წლებში იმ სისხლიან დაპირისპირებას ეწოდა, რომელშიც ერთის მხრივ ე.წ. „სუკი“ (ის მსჯავრდებულნი რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ, ან სამამულო ომში წავიდნენ, მაგრამ ომის შემდეგ ისევ გულაგში აღმოჩნდნენ) და მეორეს მხრივ კანონიერი ქურდები და ძველი ტრადიციების ერთგული პატიმრები მონაწილეობდნენ.

სამწუხაროდ, ე.წ. „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ სწორედაც რომ „ძუკნების ომის“ ნიშნებია.

სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა და ბოკერიას ევრონაცები უკვე აშკარად აბულინგებენ იმ პარტიებს, რომლებიც პარლამენტში მოხვდნენ (პატრიოტთა ალიანსის გარდა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვერ გაუბედავენ) და სხვადასხვა ხისტი განცხადებებით უკვე არაშეფარულად ემუქრებიან.

სამწუხაროდ, ეს პარტიები „ფრაერნულის“ და ბოლომდე ვერ დგამენ იმ ნაბიჯს, რაზეც თუნდაც ამ ექვსი თვის წინ ვერც იოცნებებდნენ, ანუ დეპუტატის მანდატს „დაითრევდნენ“.

არადა, ერთის მხრივ კარგიცაა. დათა თუთაშხიას ფრაზის ოდნავ ინტერპრეტაციას თუ გავაკეთებთ — რაც არ უნდა იძახონ, ვბორგავდითო, არ გვჭირდება ჩვენ მიშას და ბოკერიას გაუპატიურებული კანონმდებლები.

ბერნარდ შოუს აქვს ერთი ნაწარმოები „მილიონერი ქალი“ (თუ სწორად მახსოვს), რომელშიც მთავარი გმირი ასეთ ფრაზას ამბობს — მე რასაც მოვინდომებ, ყველაფერს ვაკეთებ. ოპონენტის შეკითხვაზე — მთავარის დედამიწაზე ჩამოტანა რომ მოინდომოო, პასუხობს - მე ისეთი სურვილები მაქვს, რისი შესრულებაც შემიძლია!

ამ ჩვენი ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის სურვილები დიდი ხანია გასცდა შესაძლებელი რეალობის ფარგლებს და იმ აშკარა აბსურდში გადაიზარდა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებასთან სირცხვილით გვაწითლებს.

მათი ოთხპუნქტიანი „მოთხოვნა“, რომელიც აშკარად საკაშვილ-ბოკერიას შიშის ქვეშ არის დაწერილი (არ ჩამოვთვლი, რადგანაც ჩემს „კედელს“ პატივს ვცემ), ზუსტად დაემსგავსა „მთვარეზე კოოპერატივის“ გახსნის პროექტს.

ეჰ, რას იზამ? რაც გვაქვს, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ისე, ამ ე.წ. ოპოზიციას რა მინდა ვკითხო — რატომ გვიმალავენ მოლაპარაკების დეტალებს?

რა, ახალ ბირთვულ იარაღზე მუშაობენ და ეშინიათ, რუსებმა არ მოგვპარონ, თუ მოლოტოვ-რიბენტროპივით მსოფლიო რუკის ახალ გადანაწილებაზე მსჯელობენ?

სავარაუდოდ ის, რაზეც „საუბრობენ“, ჩვენ გვეხება, ჩვენს მომავალს ეხება და არა ვიღაც 10 „პოლიტიკოსს“.

თუ ასე „ცდილობთ“ „მარკის აწევას“ და „გვემარიაჟებით“, არ გამოგივათ.

გვაქვს უკვე მყარად ჩამოყალიბებული აზრი და ვერ შეგვაცვლევინებთ.

ასე რომ, ცოტა აზრზე მოდით, წესიერად გაგვაგებინეთ, რა ხდება და ამ იდიოტურ ჩუმალობას შეეშვით!

არადა გაგიკვირდებათ, მაგრამ მე ვემხრობი ე.წ. „გაერთიანებული ოპოზიციის“ მოთხოვნას — არ შევიდნენ პარლამენტში.

დიახ, ნამდვილად ვემხრობი, რადგანაც არ მინდა!

დიახ, არ მინდა გუბაზ სანიკიძე, იაგო ხვიჩია, „ლელოელები“, ელისაშვილები, შალვა ნათელაშვილი და სხვა მსგავსი პოლიტიკური ნაბიჭვრები ჩემი კანონმდებლები იყვნენ!

ახლა არ მითხრათ — ამომრჩეველმა გადაწყვიტა!!!

და საერთოდ რაზე ვმსჯელობთ და ვღელავთ?

რა „გირჩის“ „დაშლა“, რა „ნინო ბურჯანაძე პარლამენტში არ შედის“!

რის შალვა ნათელაშვილი და გუბაზ სანიკიძე?

ხატია დეკანოიძე, მაჭუტაძე და ბოკუჩავა?

ლევან ბერძენიშვილი და მამა-შვილი ბუღაძეები...

უდუმაშვილი და ისევ მიშა?

მაქარაშვილი და ნანუკა?

ბოკერია და გიგი წერეთელი.

ხალხო, დაფიქრდით!

თქვენთვის, ჩუმად, დაფიქრდით!

აი ღამით, დაძინებამდე რამდენიმე წამით საკუთარ თავთან მარტო რომ დარჩებით, მაშინ დაფიქრდით!

გთხოვთ, გულით გთხოვთ!

დაფიქრდით!!!

სამწუხაროდ, მართლა „ძუკნების ომია“ საქართველოში და ეს ომი მალე უნდა დათავრდეს.

გია გაბრიჭიძე

აშშ-ის მოქალაქეობის ტესტი იცვლება და... გამარტივების ნაცვლად, რთულდება!!!

შეერთებული შტატების მუდმივ მცხოვრებლებს, რომლებიც ამერიკის მოქალაქეობის მიღებას ცდილობენ, უფრო რთული და გრძელი მოქალაქეობის ტესტის გავლა მოუხდებათ. ახალი სამოქალაქო განათლების ტესტი 128 შეკითხვისგან შედგება და მათ, ვინც მის გავლას გადაწყვეტენ, ამერიკის ისტორიასა და მთავრობაზე შეკითხვებს უნდა უპასუხონ.

აქამდე ტესტი 100 კითხვას მოიცავდა. ყველა, ვინც ნატურალიზაციაზე განაცხადს პირველი დეკემბრის შემდეგ შეიტანს, ამ ახალი ვერსიის ტესტის გავლა მოუწევს, რომელშიც ახლა 128 კითხვაა. ამერიკის მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური (USC6S), ფედერალური სააგენტო, რომელიც შეერთებულ შტატების საიმიგრაციო სისტემას მართავს, 2019 წელს აცხადებდა, რომ გეგმავდა ტესტის გაუმჯობესებას. ეს ნაბიჯი საagენტომ საბოლოოდ გასულ კვირას გადადგა.

„ტესტის განახლება, შენარჩუნება და გაუმჯობესება, რათა ის ახალი და რელევანტური იყოს, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რათა დავეხმაროთ ახალ მოქალაქეებს, სრულად ესმოდეთ ამერიკის მოქალაქეობის მნიშვნელობა და ის ღირებულებები, რაც ყველა ამერიკელს აერთიანებს“, — განაცხადა კენ კუჩინელიმ, რომელიც სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია.

მსურველებმა, ტესტის ჩასაბარებლად, 20-დან 12 კითხვას უნდა უპასუხონ სწორად. აქამდე მოთხოვნა 20-დან 10 სწორი პასუხი იყო.

მოქალაქეობის ტესტი ბოლო მოთხოვნაა შეერთებულ შტატებში ლეგალურად მყოფი მუდმივი მცხოვრებლებისთვის, ე.წ. მწვანე ბარათის მფლობელებისთვის, ამერიკის მოქალაქეობის გზაზე.

ტესტი ზეპირად ტარდება, ნატურალიზაციის ინტერვიუს დროს, რაც ერთ-ერთი ბოლო ეტაპია მოქალაქეობის მიღების პროცესში. ახალი ტესტი ასევე ინგლისური ენის ცოდნის უფრო მაღალ დონეს საჭიროებს. თუ ადრე მაღალი — დამწყები ინგლისური ენის ცოდნა იყო საჭირო, ახლა უკვე ტესტის ჩაბარებისთვის, მაღალი — საშუალო დონეა საჭირო.

ამერიკის მოქალაქეობის მსურველები ტესტისთვის თვეობით ემზადებიან. „მოქალაქეთა მომზადების პროგრამა“, ყოველწლიურად, დაახლოებით 300 მწვანე ბარათის მფლობელს ეხმარება ტესტისთვის მომზადებაში. საიმიგრაციო ადვოკატების ნაწილი ტესტს აკრიტიკებს, იმ მიზეზით, რომ კითხვები გართულებულია, განმარტების გარეშე, თუ რატომ დადგა ამის საჭიროება.

კითხვები ასევე **„პოლიტიკურ განწყობებზე მიუთითებს“,** — ამბობს ამერიკის საიმიგრაციო საბჭოს პოლიტიკის მრჩეველი არონ რაიჩლინ-მელნიკი. „ერთი კითხვა განსაკუთრებით იწვევს პოლარიზაციის გარშემო შეშფოთებას. ძველ ტესტში, აპლიკანტისთვის შესაძლოა ეკითხათ: **„ვის წარმოადგენს შეერთებული შტატების სენატორი“? პასუხი იყო, რომ „შტატის ყველა მოსახლეს“. ახალ ტესტში სავარაუდო პასუხია „მათი შტატის მოქალაქეებს“,** — ამბობს ის. რაიჩლინ-მელნიკი განმარტავს, რომ „ეს არასწორია“, რადგან „კონგრესის წევრები ყველას წარმოადგენენ, ვინც მათ ოლქში ცხოვრობს, მიუხედავად მათი მოქალაქეობრივი სტატუსისა. ეს ასე იყო, რაც ეს ქვეყანა დაარსდა“.

ჯერ უცნობია, შეცვლის თუ არა არჩეული პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მოქალაქეობის ტესტს.

2018 წელს, ვუდრო ვილსონის ფონდის კვლევის მიხედვით, ამ ტესტს ამერიკის მოქალაქეთა მხოლოდ ერთი მესამედი ჩააბარებდა წარმატებით.

ARჩევნები მესამე მსოფლიოს ქვეყნის დონეზე ჩატარდა



„არჩევნები ფალსიფიცირებული იყო. თუ სხვადასხვა შტატს შევხედავთ, არჩევნები სრულად ფალსიფიცირებული იყო. ეს სირცხვილია ჩვენი ქვეყნისთვის. ეს მესამე მსოფლიოს ქვეყანას ჰგავს. გამოყენებული იყო მოწყობილობები, რომლის წარმოშობის შესახებ არავინ არაფერი იცის“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა. ის ასევე აღნიშნავს, რომ „დემოკრატებმა“ ათასობით ბიულეტენი დაagზავნეს, რომელიც მის წინააღმდეგ იყო.

„უახლოეს დღეებში ძალიან ბევრ მნიშვნელოვან რამეს ვიხილავთ“, — დასძინა აშშ-ის პრეზიდენტმა.

რამდენიმე გადამწყვეტ შტატში დონალდ ტრამპის გუნდი სამართლებრივ დავებს აწარმოებს არჩევნებში დადსტურებულ დარღვევებთან დაკავშირებით. აშშ-ის პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი არჩევნებში დამარცხებას არ აღიარებს და აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბებული იყო.

ლუკაშენკოს ოლიმპიურ თამაშებზე დასწრება აეკრძალა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ დაწესებული დროებითი სანქციების ფარგლებში, ბელარუსის პრეზიდენტს, ალექსანდრე ლუკაშენკოს, როგორც ბელარუსის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელს ოლიმპიურ თამაშებზე დასწრება აეკრძალა.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სანქციები ასევე დაუწესა ალექსანდრე ლუკაშენკოს შვილს, ვიქტორ ლუკაშენკოს, რომელიც ბელარუსის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს იკავებს.

„საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, როგორც ჩანს, ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ ბელარუსი სპორტსმენები პოლიტიკური დისკრიმინაციისგან სათანადოდ არ დაიცვა“, — განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ტომას ბახმა. ბევრმა ბელარუსმა სპორტსმენმა წერილით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და სასწრაფო ქმედებები მოითხოვა ბელარუსის ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ევროკავშირის საბჭომ ახალი სანქციები მიიღო

ევროკავშირის საბჭომ, წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შემადგენლობით, დაამტკიცა ადამიანის უფლებების დარღვევისთვის სანქციების მექანიზმი, რომელიც ე.წ. მაგნიტსკის აქტის ანალოგიური მექანიზმია. სანქციების ახალი რეჟიმი ძალაში შევიდა 8 დეკემბრიდან და მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედებს.

დაგეგმილია მისი გამოყენება ფიზიკური და იურიდიული პირების წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანის ძირითადი თავისუფლებების დარღვევაში, წამებასა და ტრეფიკინგში იქნებიან მონაწილენი. სანქციების რეჟიმი ადამიანის უფლებების დამრღვევთათის ევროკავშირის ტერიტორიაზე შემოსვლის აკრძალვასა და აქტივების გაყინვას მოიცავს.

საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჟოზეფ ბორელის განცხადებით, ადამიანის უფლებათა დამრღვევთათვის ახალი მექანიზმის შემოღება ხელს შეუწყობს ევროკავშირის რეაგირების ეფექტურობას მსგავსი დანაშაულების მიმართ.

სანქციების ასეთი რეჟიმის შემოღება არ გულისხმობს ავტომატურად კონკრეტული პირებისთვის სანქციების დაწესებას. ის ქმნის მხოლოდ სამართლებრივ წინაპირობას შემდგომში კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად. შემდეგი ნაბიჯი კი სანქციების სიაში კონკრეტული პირების შეყვანა იქნება, რისთვისაც ასევე აუცილებელია ევროკავშირის საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

შეერთებულმა შტატებმა 2012 წელს მიიღო „მაგნიტსკის აქტი“, რომელიც ითვალისწინებს სანქციებს ადამიანის უფლებების დარღვევაში ბრალდებული რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ.

„მაგნიტსკის აქტი“, იურისტ სერგეი მაგნიტსკის სახელს ატარებს, რომელიც 2009 წელს მოსკოვის ერთ-ერთ იზოლატორში გარდაიცვალა.

როგორ აზარალებენ პოპულისტი ლიდერები ეკონომიკას?!



პოპულისტი ლიდერები თავიანთი ქვეყნების ეკონომიკებს აზიანებენ და დაპირებების მიუხედავად, ღარიბი ფენების ცხოვრების გაუმჯობესებას ვერ ახერხებენ, — ასეთია ლონდონელი ეკონომისტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

მათ 60 ქვეყანაში სხვადასხვა წლებში მოქმედი 1458 მსოფლიო ლიდერის საქმიანობა შეისწავლეს და 72 შემთხვევა დაადგინეს, როდესაც ქვეყნებს პოპულისტი ლიდერები ხელმძღვანელობდნენ.

2018 წლის მონაცემებით, პოპულისტები — როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე — ხელისუფლებაში 16 ქვეყანაში იყვნენ, მათ შორის — ბულგარეთში, ისრაელში, ფილიპინებში, თურქეთში, სლოვაკეთში, ვენესუელასა და ინდოეთში.

მსოფლიოში ყველაზე პოპულისტური ქვეყანაა არგენტინაა, სადაც 1918 წლიდან დროის 39% ხელისუფლებაში პოპულისტები იყვნენ, ევროპაში კი — იტალია (29%).

როგორც წესი, პოპულისტები ხელისუფლებაში ეკონომიკური ვარდნის პერიოდებში მოდიან —- როგორც ნესტორ კირშნერი არგენტინაში და რეჯეპ ერდოღანი თურქეთში.

ზოგადად პოპულიზმის 2 სახეობა არსებებს — უფრო გავრცელებულია მემარცხენე, რომელიც მოსახლეობას შეღავათებს და სოციალურ სამართლიანობას ჰპირდება, და მემარჯვენე, რომელსაც, ამასთან ერთად, ნაციონალიზმი, მიგრაციის წინაამღდეგ ბრძოლა და წესრიგის დამყარების დაპირება ემატება.

პოპულისტ-პოლიტიკოსებს გამაერთიანებელი თვისებები აქვთ.

პირველია პროტექციონიზმი და იმპორტის გაძვირება, მეორე — საბიუჯეტო ხარჯების მკვეთრი ზრდა, მესამე — ძალაუფლების გაძლიერება და უფლებამოსილებების ზრდა, რაც შეკავების და ბალანსის სისტემას აზიანებს.

განსაკუთრებით დიდი ზარალი პოპულისტებს ეკონომიკისთვის მოაქვთ. კვლევის თანახმად, 30 ქვეყანაში, სადაც 15 წლის მანძილზე ზედიზედ ხელისუფლებაში პოპულისტები იყვნენ, მშპ-ს ზრდა 10%-ით ნაკლები იყო იმ პერიოდებთან შედარებით, როდესაც მმართველობა არაპოპულისტების ხელში იყო.

მკვლევარებმა ასევე შექმნეს მოდელი, რომელიც აჩვენებს, როგორი იქნებოდა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები, რომ არა პოპულისტები ხელისუფლებაში.

აღმოჩნდა, რომ არაპოპულისტების მმართველობის შემთხვევაში მათი ეკონომიკური ზრდა 10-15%-ით მაღალი იქნებოდა.

ზოგიერთ შემთხვევაში პოპულისტების მმართველობის პირველი წლები შედარებით წარმატებული იყო, თუმცა, საბოლოოდ, ღრმა სტაგნაციას ვერც ერთი ვერ ასცდა. კვლევის ავტორთა დასკვნით, ამ ტიპის ხელისუფლებების ხელში ქვეყნების უკუსვლა შემთხვევითი არაა. არის რამდენიმე გამონაკლისები, როდესაც მათი ყოფნა სათავეში ეკონომიკაზე არ აისახა — მაგალითად, უნგრეთი და ისრაელი, თუმცა, ასეთები მხოლოდ ერთეულებია.

მკვლევარებმა ასევე შეისწავლეს, რამდენად წარმატებულები არიან პოპულისტები იმაში, რაც მათი ძირითად დაპირებაა — უთანასწორობის შემცირება და სახელმწიფო თანხების უკეთესი განაწილება. ამისთვის მათ გამოიკვლიეს სხვადასხვა ქვეყნებში ე.წ. „ჯინის კოეფიციენტის“ ცვლილებები — სწორედ ეს კოეფიციენტია საზოგადოების სხვადასხვა ფენებში უთანასწორობის დონის ძირითადი საზომი.

აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებული წარმატებით პოპულისტები არც ამ კუთხით გამოირჩევიან — როგორც წესი, მემარჯვენე პოპულისტების ხელისუფლების პირობებში უთანასწორობა ცოტათი იზრდება კიდეც, ხოლო მემარცხენე — უმნიშვნელოდ მცირდება.

საბოლოო ჯამში, მკვლევარების დასკვნა ისაა, რომ პოპულიზმის მთავარი სისუსტეა არა დამატებითი დოვლათის შექმნაზე ფიქრი, არამედ უკვე არსებულის განაწილებაზე ორიენტირება. ეს კი კორუფციის მრავალნაირ წყაროს ქმნის, ეკონომიკის ზრდას აფერხებს, და საბოლოოდ, სტაგნაციით სრულდება.

მოამზადა
თეენგიზ აბლოთიამ

მიშა და ლიზა

ლესბოსელი ქალი და სექსუალური მანიაკი

უკრაინული გამომცემლობა strana.ua **მიხეილ სააკაშვილის ახალ გატაცებაზე მოგვითხრობს. როგორც გამოცემა წერს, სააკაშვილს რომანი აქვს „ხალხის მსახურის“ სახალხო დეპუტატ ლიზა იასკოსთან. წყვილი ლესნიკში მდებარე საგარეუბნო სახლში ცხოვრობს.**

ლიზა იასკო გახლავთ ოქსფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, „ხალხის მსახურის“ სახალხო დეპუტატი, უკრაინის დელეგაციის მეთაური ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში.

სააკაშვილი კი არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს კიევში. რა აკავშირებს ამ წყვილს?

სასიყვარულო კავშირი

ჩვენი ინფორმაციით, უკრაინის რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ხვდება სახალხო დეპუტატ ელიზაბეტა იასკოს. ამის შესახებ გამომცემლობა „სტრანას“ აუწყეს სააკაშვილისა და ლიზა იასკოს გარემოცვის წევრებმა. წყვილი ერთადაა შუა ზაფხულიდან მოყოლებული და მათ სერიოზული ურთიერთობა აქვთ.

გოგონა პერიოდულად ცხოვრობს შეყვარებულის რეზიდენციაში ლესნიკის დასახლებაში, რის შესახებაც ამ დღეებში ვიუწყებოდით.

ელიზაბეტა იასკოსთან სააკაშვილის პირველი ერთობლივი ფოტოები ივნისში გამოჩნდა. ეს სულაც არ იყო ოფიციალური, სამუშაო მომენტები. წყვილი აღბეჭდილ იქნა მეგობრების წრეში, კიევთან მდებარე მიხეილის სახლში.

ისინი ისვენებდნენ ცნობილი ჟურნალისტის დიმიტრი გორდონის, მომღერალ ოლია პოლიაკოვას, პროდიუსერ მიხეილ იასინსკის კამპანიაში. ელიტური საუბრები სანთლებისა და ღვინის ბოკალების ფონზე, სუფთა ჰაერზე მიმდინარეობდა სოფელ ლესნიკში მდებარე ქართველ-უკრაინელი პოლიტიკოსის რეზიდენციის უკანა ეზოში.

ჭორების ასაცილებლად და უცხო თვალისგან პირადი ცხოვრების დასამალად, სააკაშვილმა რამდენიმე მეტრით აამაღლა ღობე, რითაც მთლიანად შეზღუდა მეზობლების ფანჯრებში სინათლის შეღწევა.

რამდენადაც მიშა და ლიზა ცნობილი საზოგადო პერსონები და პოლიტიკური მოღვაწეები არიან, მათი საქმიანობა ხშირად იკვეთებოდა ერთმანეთთან. ერთად დადიოდნენ ეთერში თოქშოუებში, მიემგზავრებოდნენ ლვოვში ქალაქის მერ ანდრეი სადავოისთან შესახვედრად. საინფორმაციო ველზე კი წყვილი გამოჩნდა სექტემბრის დასაწყისში.

სწორედ მაშინ გამოჩნდა ფოტო, სადაც გამოსახულია სააკაშვილი ლიზა იასკოსთან და ანდრეი ბოგდანთან, პრეზიდენტის ოფისის ყოფილ ხელმძღვანელთან ერთად. მათ ასწიეს ბოკალები ე.წ. უკრაინულ ქოხში, რომელიც სააკაშვილმა ქალაქგარეთ ნაკვეთში თავისთვის აიშენა.

ფოტო საკუთარ სოციალურ ქსელში სამივემ გაავრცელა, თითქოს ისინი განიხილავდნენ კიევის

სათათბიროს არჩევნების საკითხს. თუმცა უფრო მეტი საყურადღებო დეტალი შეინიშნებოდა. 13 ოქტომბერს ლიზამ, როგორც უკრაინული დელეგაციის მეთაურმა, მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი კომიტეტის ონლაინსხდომაში. გოგონამ შეკითხვა დაუსვა დუნია მიატოვიჩს (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსაბჭოს კომისარს) უკრაინული ენის შევიწროების შესახებ ყირიმში.

ამასთან, ჩვენი ინფორმაციით, იასკო იმყოფებოდა სააკაშვილის კაბინეტში, მის ტყავის სავარძელში მოკალათებული. უკან ჩანდა ქართველ-უკრაინელი პოლიტიკოსის ბიბლიოთეკის წიგნების თარო. თვით სააკაშვილსაც იქ არაერთგზის ჩაუწერია ვიდეომიმართვები და იქიდან ერთვებოდა დისტანციურად სხვადასხვა ტელეარხზე.

უფრო მეტიც, ნოემბრის დასაწყისში ლიზა იუწყებოდა, რომ ტესტირებისას კორონავირუსი დაუდასტურდა (მანამდე ორი კვირით ადრე მიშამაც იავადმყოფა). როგორც ჩანს, ლიზამ ავადმყოფობა სააკაშვილის საცხოვრებელში გადიტანა.

ავადმყოფობის ორი კვირის შემდეგ გოგონამ ჩაწერა ვიდეო კარანტინში ყოფნის დროს ოქროსფერი ფარდების ფონზე, რომლებიც ჩამოკიდებულია მისი პარტნიორის სასტუმრო ოთახში. ამავე ოთახშია ლიზას საყვარელი არსების — ძაღლის, მეტსახელად „ჩაკრას“ ფოტო. ეს ლეკვი მას ცოტა ხნის წინ დაბადების დღეზე აჩუქეს.

იმის შესახებ, რომ სააკაშვილს აქვს რომანი ლიზა იასკოსთან, პარლამენტში ლიზას კოლეგებისთვისაც ცნობილია. ანონიმურობის პირობით დეპუტატებმა დაგვიდასტურეს მათი სასიყვარულო კავშირი. როგორც ამბობენ, ბოლო დროს ლიზა ბედნიერებისგან ბრწყინავს, თავის პარტნიორთან დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად.

„ფრაქციაში უკვე დიდი ხანია, ამ ურთიერთობას განიხილავენ. რა თქმა უნდა, არა პარტიულ ჩატში, არამედ პირად ურთიერთობებში. წყვილი ერთადაა. მართალია, ბევრისთვის გაუგებარია, რისთვის სჭირდება ეს კავშირი ლიზას, ეს ხომ ის ადამიანი არ არის, რომელიც მას კარიერაში დაეხმარება. სააკაშვილს კი ძალიან ბევრი რომანი ჰქონდა, ყველამ იცის მისი ვნებების შესახებ ახალგაზრდა უკრაინელ ქალებთან“, — უყვება „სტრანას“ „ხალხის მსახური“ ერთ-ერთი დეპუტატი.

ასევე, ლიზასთან დაახლოებული წყაროები ადასტურებენ, რომ წყვილი ერთად ცხოვრობს სააკაშვილის ქალაქგარეთ მდებარე სახლში.

სააკაშვილის კარ-მიდამო კი ასეთია: ორდონიანი მიწის ნაკვეთი, სამი სახლი, აუზი და შადრევანი.

ელიზაბეტა ოფიციალურად გათხოვილი არ არის.

როგორც „სტრანა“ იუწყებოდა, ლიზამ მოასწრო სახელის მოხვეჭა ლესბოსური ფეიკფოტოებით, რომლებშიც ტუჩებში კოცნის გოგოს...

მიხეილი დაქორწინებულია ჰოლანდიელ სანდრა რულოვსზე, მათ ორი ვაჟი ჰყავთ — 25 წლის ედუარდი და 14 წლის ნიკოლოზი. უფროსი ვაჟი სწავლობდა და დაქორწინდა ამერიკაში, უმცროსი კი ცხოვრობს დედასთან...

NOKIA 6G-ის ტექნოლოგიას განავითარებს

NOKIA სათავეში ჩაუდგა კომპანიების ჯგუფს, რომელიც ახალი თაობის ტექნოლოგიას 6G-ს განავითარებს.

პროექტის სახელწოდებაა Hexa-X-ი და მას ევროკავშირი აფინანსებს.

განისაზღვრა, რომ 6G იმუშავებს ტერაჰერცულ სიხშირეზე და კავშირს უზრუნველყოფს. არის მოლოდინი, რომ ტექნოლოგია 2030 წელს ამუშავდება.

Bloomberg-ი წერს, რომ 5G ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია, თუმცა რიგი ქვეყნები 6G ტექნოლოგიაზე მუშაობენ. ჩინეთში 6G-ს განვითარებას ხელისუფლება აფინანსებს.

შპს „ლილო-მოლი“ ბრძანება №335

28. 11. 2020

ახალი ტიპის კორონავირუსის COVID-19 მსოფლიო მასშტაბით გავრცელებასთან და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 26.11.2020 წლის №699 დადგენილებით დაწესებული შეზღუდვების და გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, სავაჭრო ცენტრის პარალიზების თავიდან ასაცილებლად და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, შექმნილი ობიექტური გარემოებების შესაბამისი ადეკვატური ზომისა და დროებითი ღონისძიების სახით (კონსერვაციის პერიოდი) 2020 წლის დეკემბრის თვეში დაკორექტირდეს საცალო-საბითუმო რიგებში არსებული მოვაჭრეების ყოველთვიური საიჯარო ქირის გადასახადი და განისაზღვროს 2020 წლის 26 ნოემბერს არსებული ნიშნულის **(ამ ბრძანების მიზნებისთვის შემდგომში სტანდარტული ქირა)** სტანდარტული საიჯარო ქირის გადასახადის 40%-ის ოდენობით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ Z რიგებში არსებული მოვაჭრეები იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე საიჯარო ქირას იხდიან განსხვავებული სეზონურობის პრინციპით, კერძოდ წლიური ჯამური საიჯარო ქირა მათ გადანაწილებული აქვთ 9 თვეზე, ხოლო მაისის, ივნისის და ივლისის თვეების საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით, შესაბამისად სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, 2020 წლის დეკემბრის თვეში დაკორექტირდეს ამ კატეგორიის მოვაჭრეების მიერ გადასახდელი საიჯარო ქირა, კერძოდ თითოეული კონკრეტული მოვაჭრის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირა განისაზღვროს მის მიერ გადასახდელი სტანდარტული ქირის 55%-ის ოდენობით.

დაკორექტირდეს საცალო-საბითუმო რიგებში არსებული მოვაჭრეების ყოველთვიური საიჯარო ქირის გადასახადის გადახდის ვადები და 2020 წლის დეკემბრის თვეში მიუხედავად იმისა თუ რომელი დეკადაში იხდიდა მოვაჭრე ქირას, გადახდის ვადად ყველა მოვაჭრისათვის განისაზღვროს პერიოდი 01.12.2020-დან 23.12.2020-მდე.

წინამდებარე ბრძანება საცალო-საბითუმო რიგებში არსებული ყველა მოვაჭრის ინფორმირების მიზნით გამოქვეყნდეს საჯარო წესით (გამოიკრას სერვის ცენტრის და რიგებში თვალსაჩინო ადგილას, აიტვირთოს კომპანიის ვებ-საიტზე). საზოგადოების მოვაჭრეებთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს მოვაჭრეებისათვის წინამდებარე ბრძანების შინაარსის გაცნობა და შესაბამისი ახსნა-განმარტების მიცემა. მოვაჭრის მხრიდან შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, მას ეძლევა წინადადება წერილობით მომართოს კომპანიის დირექციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მოვაჭრე ეთანხმება წინამდებარე ბრძანებით შეთავაზებულ საგანგებო ვითარებაში დადგენილ კორექტირებულ ტარიფს.

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს და სერვის ცენტრს, დაევალოს საიჯარო ქირის გადასახადების გადახდის ერთიან კომპიუტერულ ბაზაში შესაბამისი კორექტივების შეტანა და სახელშეკრულებო ურთიერთობებში მყოფ ს.ს. „ვითიბი ბანკთან“ ერთად საიჯარო თანხების მიღება კორექტირებული ოდენობით.

საცალო-საბითუმო რიგებში არსებულ ყველა მოვაჭრეს და ს.ს „ვითიბი ბანკს“ ეთხოვოს გაგებით მოეკიდონ პანდემიის გამო შექმნილ რთულ მდგომარეობას და დაიცვან წინამდებარე ბრძანებით დადგენილი საიჯარო ქირის გადასახადების გადახდა/მიღების რეჟიმი.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საზოგადოების კომერციულ დირექტორს თ. გამყრელიძეს.

გენერალური დირექტორი /გ. კვარაცხელია /

სს „თბილისის მონოლითმშენი“

აცხადებს, რომ 2020 წლის 28 დეკემბერს 17 საათზე ქ. თბილისში, წერეთლის გამზირის №57-ში გაიმართება სს-ის საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს-ის 2019 წლის შედეგები;
2. სხვადასხვა.

სს „თბილისის მონოლითმშენის“ ადმინისტრაცია.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ვაჟა-ფშაველას ქ. №48. 599 79-76-79; 568 82-09-84

◎ უკვდავება

გვახსოვხარ, ოლიმპიელო!

2010 წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა — ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადა, რომელიც საყოველთაო ზეიმად უნდა ქცეულიყო, დიდი ტრაგედიით დაიწყო. 12 თებერვალს, თამაშების გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, სავარჯიშო დაშვებას 21 წლის მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი ემსხვერპლა. წლეულს ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენის დაღუპვიდან 10 წელი გავიდა, 25 ნოემბერს კი ის 32 წლის გახდებოდა.

კანადაში ჩვენი ქვეყნის საელჩოსა და ბრიტანეთის კოლუმბიის ქართული დიასპორული ორგანიზაციის ძალისხმევით ქალაქის ცენტრალურ — სტენლის პარკში „ჯვაროსნის“ მემორიალი გაიხსნა. იქაური მერიის რეგულაციების შესაბამისად, ცნობილ და პოპულარულ თანამემამულეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სტელების მსგავსად, იქ განთავსებული ჩვენებურის მემორიალიც სკვერის სკამზეა ასახული, რომელსაც შესაბამისი წარწერაც ამშვენებს: **„ნოდარ ქუმარიტაშვილი — ახალგაზრდა ქართველი ოლიმპიელი, რომელიც 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს საბედისწეროდ დაიმტვრა. შენი მემკვიდრეობა ცოცხალია.“**

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საელჩო ვანკუვერის ქართულ დიასპორულ ორგანიზაციასთან ერთად პატრონაჟს უწევს ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებსა და პროექტებს.

ბეჟან დოლიძე

◎ წყალბურთი

„დინამო“ იტალიელებით დაიწყებს

ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციამ წყალბურთელ ვაჟთა ჩემპიონთა ლიგაში, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, გუნდების რაოდენობა 12-მდე შეამცირა. საუკეთესოთა შორისაა თბილისის „დინამო“, რომელსაც ლიგაში ადგილი ორი წლით გარანტირებული აქვს.

2020-2021 წლების გათამაშება 14 დეკემბერს დაიწყება შეცვლილი სათამაშო ფორმატით. პირველი სამი ტურის მატჩებს კლუბები ოსტიასა (იტალია) და ბუდაპეშტში (უნგრეთი) გამართავენ. 12 გუნდი წილისყრით ორ ჯგუფში გადანაწილდა:

A ჯგუფი: „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი), „პრო რეკო“ (იტალია), „იუგი“ (დუბროვნიკი, ხორვატეთი), „შპანდაუ-04“ (ბერლინი, გერმანია), „მარსელი“ (მარსელი, საფრანგეთი), „ორტიჯია“ (სირაკუზა, იტალია)

B ჯგუფი: „ტელეკომი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი), „ზოდიაკ ბარსელონეტა“ (ბარსელონა, ესპანეთი), „ვასპო-98“ (ჰანოვერი, გერმანია), „იადრანი“ (ჰერცეგ ნოვი, მონტენეგრო), „დინამო“ (თბილისი, საქართველო), „ბრეშა“ (იტალია).

ორწრიანი პაექრობების მერე ჯგუფებში 4-4 საუკეთესო ფინალურ ეტაპზე 3-5 ივნისს ჰანოვერში მოიყრის თავს.

B ჯგუფში, სადაც თბილისის „დინამოც“ ითამაშებს, წინა წლების ლიგის ჩემპიონები არიან „ფერენცვაროში-ტელეკომი“ (უნგრეთი) და „ბარსელონეტა“ (ესპანეთი). საგულისხმოა, რომ ამ ჯგუფში, A-სგან განსხვავებით, ოთხის ნაცვლად ფინალური ოქტეტის სამი საგზური განაწილდება, რადგან გერმანული ჰანოვერის „ვასპო-98-ს“, როგორც მასპინძელს, დასკვნით ტურნირში ადგილი გარანტირებული აქვს.

ჯგუფური I რაუნდის პირველი-მესამე ტურების შეხვედრათა განრიგი ასეთია:

A ჯგუფი: (ოსტია, 14-16 დეკემბერი). **I დღე.** „შპანდაუ-04“ — „იუგი“, „პრო რეკო“ — „მარსელი“, „ოლიმპიაკოსი“ — „ორტიჯია“; **II დღე.** „იუგი“ — „მარსელი“, „ორტიჯია“ — „პრო რეკო“, „შპანდაუ“ — „ოლიმპიაკოსი“; **III დღე.** „მარსელი“ — „ორტიჯია“, „ოლიმპიაკოსი“ - იუგი“, „პრო რეკო“ — „შპანდაუ“.

B ჯგუფი: (ბუდაპეშტი, 15-17 დეკემბერი). **I დღე.** „იადრანი“ — „ტელეკომი“, „დინამო“ — „ბრეშა“, „ვასპო“ — „ბარსელონეტა“; **II დღე.** „ტელეკომი“ - „ბრეშა“, „ბარსელონეტა“ — „დინამო“, „იადრანი“ — „ჰანოვერი“; **III დღე.** „ბრეშა“ — „ბარსელონეტა“, „ჰანოვერი“ — „ტელეკომი“, „დინამო“ — „იადრანი“.

აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ გაისად 14-21 თებერვალს ჰოლანდიურ როტერდამში ტოკიოს ოლიმპიური თამაშების სამი საგზურისთვის (იაპონიის დედაქალაქში გამგზავრების უფლება დაბეგებული აქვთ ავსტრალიას, უნგრეთს, იტალიას, იაპონიას, სერბეთს, სამხრეთ აფრიკას, ესპანეთსა და აშშ-ს) 12 გუნდი იბრძოლებს. ისინი წილისყრით (თუ რამე არ შეიცვალა) ორ ქვეჯგუფში გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: საქართველო, **აზია (1), კანადა, ბრაზილია, მონტენეგრო, საბერძნეთი.**

B ჯგუფი: ხორვატეთი, ჰოლანდია, აზია (2), რუსეთი, გერმანია, არგენტინა.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით სალიცენზიო ტურნირისთვის მხადებას ჩემპიონთა ლიგის ბუდაპეშტური ბატალიების შემდეგ დაიწყებს.

გივი გაგუა

ზურაბ ჯავახაძის გამოსათხოვარი!

ქართული სპორტის მემატიანე

საშინელმა სენმა, კოვიდ-პანდემიამ კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის, სრულიად საქართველოს ღირსების დარბაზის დამფუძნებლის,ღირსების ორდენოსან ზურაბ ჯავახაძის სიცოცხლე შეიწირა.

იყო ძირძველი ქუთაისელი და იქვე საშუალო სკოლისა და აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ექსკურსიამძღოლად, დირექტორობდა საჭადრაკო კლუბს, საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს, ტურისტულ სასტუმრო „ხვამლს“, 1984 წლიდან კი მის მიერ დიდი რუდუნებით ფაქტობრივად არარაობიდან შექმნილ საქართველოში პირველ სპორტულ მუზეუმს, რომელიც ქუთაისის ხელისუფლების გონივრული გადაწყვეტილებით უკვე კარგა ხანია არის ზურაბ ჯავახაძის სახელობისა.

უდიდესი „ნადავლია“ თავმოყრილი ამ უმდიდრეს მუზეუმში, თანაც ყველაფერი „დედანია“ და არა ასლები, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც და ის „ოსკარიც“, რომელიც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ პირადად ჩააბარა; ომარ ფხაკაძის ველოსიპედიც და დამცავი თოკის ის ნაწილიც, რომელმაც ტრაგედიისას მიხეილ ხერგიანს ვერ უშველა.

ამ მუზეუმს უამრავ ქართველ და უცხოელ სპორტის მოყვარულთან ერთად ორჯერ სტუმრობდა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი რიჩარდ მაილსი და გაუკვირდა, რომ უმდიდრეს საგანძურში ასლები კი არა, ყველა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დედანი იყო.

— მე ორჯერ ვიყავი შეერთებული შტატების ჩემპიონი ჭიდაობაში, მაგრამ ჩემს მედლებს მუზეუმს არ გადავცემო! — უთხრა მასპინძელს.

— ბედი გქონიათ, რომ ქუთაისელი არ ბრძანდებით, თორემ თქვენი მედლებიც აქ იქნებოდაო. — უპასუხნია ზურაბ ჯავახაძეს.

ზურაბ ჯავახაძე არა მხოლოდ სპორტის, არამედ ქუთაისისა და იმერეთის ჭეშმარიტი მემატიანეც გახლდათ. იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული ჰქონდა ათასზე მეტი სტატია. იგი ავტორია 60-ზე მეტი წიგნისა. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სპორტის, ტურიზმისა და საექსკურსიო საქმის დამსახურებული მუშაკის და მრავალი სხვა საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ოლიმპიური მედლით.

მეორე და მესამე ათასწლეულების უღლტეხილის ქართული სპორტის დიდი მემატიანე და ერთგული მსახური ზურაბ ჯავახაძე ნამდვილად მძიმე დანაკლისია ქუთაისისათვის, მაგრამ საპირწონე იმედად ის რჩება, რომ მარადიული და დაუვიწყარია განძი, რომელიც მან მისივე სახელობის სპორტული მუზეუმის სახით მშობლიურ ქალაქში დატოვა.

სპარტაკ ქოგულია, ალექსანდრე შენგელია, გია პლატონიშვილი

◎ მუნდიალი — 2011

ახალი გამოწვევა

შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გაიმართა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა, რომელმაც გაარკვია საქართველოს ნაკრების მეტოქეები. კენჭისყრისას კალათიდან ბურთულები იტალიისა და ნიდერლანდების ნაკრებების ყოფილმა ფეხბურთელებმა დანიელე დე როსიმ და რაფაელ ვან დერ ვაარტმა ამოიღეს. „ჯვაროსნები“ ევროპის ზონის B ჯგუფში მოხვდნენ:

ესპანეთი, შვედეთი, საბერძნეთი, საქართველო, კოსოვო.

საქართველო მე-4 სიძლიერის გუნდების კალათაში იყო და ამავე კალათაში მყოფ შემდეგ ნაკრებებთან აიცილა მეტოქეობა თავიდან — ბოსნია-ჰერცეგოვინა, სლოვენია, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, ბულგარეთი, ისრაელი, ბელარუსი, ლუქსემბურგი. ჩვენი გუნდი პირველად ითამაშებს შვედეთისა და კოსოვოს ნაკრებების წინააღმდეგ.

ყატარში გასამართავი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის მებრძოლი 55 ევროპული ნაკრები 10 ჯგუფში გადანაწილდა, ფინალურ ეტაპზე კი 13 ქვეყანა იასპარეზებს.

უეფას ზონაში შესარჩევი ტურნირის პირველი ტური 2021 წლის 24-25 მარტს მოეწყობა, ძირითადი შესარჩევი ეტაპი 16 ოქტომბერს დასრულდება, პლეი-ოფი 2022 წლის 24, 25, 28 და 29 მარტს ჩატარდება, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ყატარში 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე გაიმართება.

A ჯგუფი

პორტუგალია, სერბეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, აზერბაიჯანი;

B ჯგუფი

ესპანეთი, შვედეთი, საბერძნეთი, საქართველო, კოსოვო;

C ჯგუფი

იტალია, შვეიცარია, ჩრდილოეთ ირლანდია, ბულგარეთი, ლიეტუვა;

D ჯგუფი

საფრანგეთი, უკრაინა, ფინეთი, ბოსნია, ყაზახეთი;

E ჯგუფი

ბელგია, უელსი, ჩეხეთი, ბელარუსი, ესტონეთი;

F ჯგუფი

დანია, ავსტრია, შოტლანდია, ისრაელი, ფარერის კუნძულები, მოლდოვა;

G ჯგუფი

ნიდერლანდები, თურქეთი, ნორვეგია, მონტენეგრო, ლატვია, გიბრალტარი;

H ჯგუფი

ხორვატეთი, სლოვაკეთი, რუსეთი, სლოვენია, კვიპროსი, მალტა;

I ჯგუფი

ინგლისი, პოლონეთი, უნგრეთი, ალბანეთი, ანდორა, სან-მარინო;

J ჯგუფი

გერმანია, რუმინეთი, ისლანდია, ჩრდილოეთ მაკედონია, სომხეთი, ლიხტენშტეინი.

გიორგი ფოთაძე

სულთათანა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი

რამაზ გოგლიძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს და ახლობლებს.

გივი შუღაროვი ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

რამაზ გოგლიძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

სანთელი

ჟიული შარტავას საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების ერთი-ერთი დამფუძნებელი, ღირსეული მამულიშვილი

ირაკლი ჯიქურაშვილი

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

შოთა კოხრეიძის ოჯახი მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, სასიქადულო პიროვნების

ირაკლი ჯიქურაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სპარტაკ ქობულია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი პიროვნული თვისებებით გამორჩეული ვაჟკაცი, სიკეთის, უბრალოებისა და ერთგულების განსახიერება

ირაკლი ჯიქურაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ახალი ჩინური ვაქცინა

წამყვანმა ჩინურმა ვაქცინების მწარმოებელმა, SINOVAC-მა განაცხადა, რომ კომპანიამ SINO Biopharmaceutical-ისგან 4 500 მილიონი ამერიკული დოლარის დაფინანსება მიიღო კოვიდ 19-ის ვაქცინის განვითარებისთვის, წარმოებისა და შესაძლებლობათა გაფართოებისთვის.

ზემოხსენებული ფარმაცევტული კომპანიის ხელმძღვანელმბა აღნიშნა, რომ კოვიდ 19-ის ვაქცინის წარმოებაში მწარმოებელმა მნიშვნელოვან ეტაპს მიაღწია აზიასა და ლათინურ ამერიკაში მიმდინარე ცდებში.

„კორონავირუსის ვაქცინის დაფინანსება Sino Biopharmaceutical-ის მიერ შესაძლებლობას მოგვცემს ვაქცინის გაყიდვების შესაძლებლობათა გაფართოებასა და განვითარებას აზიის ქვეყნების ბაზრებზე, აგრეთვე გვექნება შესაძლებლობა განვავითაროთ და მივიღოთ ახალი ტექნოლოგიები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დავაჩქაროთ ჩვენი ძალისხმევა მსოფლიო პანდემიასთან ბრძოლაში“ - აღნიშნა SINOVAC-ის ხელმძღვანელმა და პრეზიდენტმა ვიედონგ ინ-მა.

ჩინურ კომპანიაში 2020 წლისთვის ვაქცინის საწარმოებელი მეორე ობიექტის დასრულებას ელოდებიან, რომლის შემდეგაც წლის ბოლოსთვის კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო პრეპარატის 600 მილიონი დოზის დამზადებას გეგმავენ. კომპანიის ხელმძღვანელთა თქმით, ბაზარზე მოთხოვნისა და დაფინანსების გაზრდის შემთხვევაში წარმოების მოცულობის გაზრდას ელოდებიან.

ირაკლი ბებუას თავისუფლების აღკვეთა უკანონოდ მიესაჯა



„ცხელი ხაზით მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის 7 დეკემბერს, ოკუპირებულ აფხაზეთში, უკანონო პატიმრობაში მყოფ ირაკლი ბებუას, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, უკანონოდ მიესაჯა. აღნიშნულ ფაქტზე დაუყოვნებლივ მოხდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეების ინფორმირება. ამოქმედებულია ყველა არსებული მექანიზმი და აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო პარტნიორებთან.

ირაკლი ბებუას, ისევე როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უკანონო პატიმრობაში მყოფი, საქართველოს მოქალაქეების უპირობო გათავისუფლების საკითხი, მკაცრად დადგება მიმდინარე წლის 10-11 დეკემბერს დაგეგმილი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მორიგ რაუნდზე“, — აცხადებენ სუს-ში.

ხსოვნა

ზურაბ გოგოხია

ვერ აიტანა ზუგდიდსა და სრულიად საქართველოში ანტიქართველთა აღვირახსნილი პარპაში და კიდევ ერთი გამორჩეული პიროვნება დააკლდა საგვარეულოს, ზუგდიდს — მისი კოლორიტი, ხოლო ქვეყანას — ქართველი საზოგადოების ჭეშმარიტად ღირსეული წევრი. მადლობა ყველას თანადგომისთვის.

თბილისში მცხოვრები გოგოხიების
სახელით — **რევაზ გოგოხია.**

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება გამორჩეული კაცის, კოლორიტული პიროვნების

ზურაბ კირილეს ძე გოგოხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ციცოს და ზურას.



უახლოესი მეგობრები რესან კონცელიძე, ბაკურ გულუა, გურამ საღარაძე, კლიმენტი ჯანჯღავა, რაულ ჩილაჩავა, ვახტანგ ყოლბაია, გივი აბდუშელიშვილი, ვახტანგ გვარამია, ნოდარ ანდრიაძე, თემურ მურღულია, ლევიკო აბაშიძე, თემურ კოკოჩაშვილი, კახა ძიძიგური, ლაურ ჯანაშია, ვახტანგ ცხადაია, ლერი ჭითანავა, გრიშა შონია, კახა არდია, ჯიმი ქვარცხავა, მერაბ ზამბახიძე, ზურაბ ხასია, სპარტაკ გოგინავა, თენგიზ შანავა, მერაბ რაფავა, ზურაბ აფშილავა, ჯემალ კვირტია, ოთარ ჭითანავა დიდი მწუხარებით იუწყებიან საზოგადო მოღვაწის, ღირსეული ადამიანის, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი კოლორიტი პიროვნების

ზურაბ გოგოხიას

გარდაცვალებას. უსამძიმრებენ ოჯახს, სანათესაოსა და დიდ სამეგობროს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

საქართველომ 1 000 ერთეული ჟანგბადის კონცენტრატორი მიიღო

ამის შესახებ განცხადება ჯანდაცვის მინისტრმა გააკეთა.

როგორც ეკატერინე ტიკარაძემ განმარტა, მათი დარიგება უკვე დაწყებულია კლინიკებსა და სასტუმროებში. **„გუშინ დასრულდა ერთ-ერთი მთავარი ნაკადის ჩამოსვლა იმ შესყიდვების, რომელიც განხორციელდა მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში. ამ ეტაპისთვის ქვეყანაში უკვე მიღებული გვაქვს 1 000 ჟანგბადის კონცენტრატორი, რომლის დარიგებაც დაწყებულია საჭიროებისამებრ. ესეც რეგიონების მიხედვით, საჭიროებისამებრ დარიგდება ყველა კლინიკასა და სასტუმროში. დარწმუნებული ვარ, ეს მნიშვნელოვნად აისახება ჩვენი პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე“,** — განაცხადა ტიკარაძემ.

საუკუნეს მიტანებულმა ქალბატონმა ვაქცინა გაიკეთა

90 წლის მარგარეტ ქენანი გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც დიდ ბრიტანეთში დაწყებული მასობრივი იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში Pfizer-ის ვაქცინა გაიკეთა. მარგარეტ ქენანმა, რომელიც მომდევნო კვირას 91 წლის გახდება, აღნიშნა, რომ ეს არის მისთვის დაბადების დღის საუკეთესო საჩუქარი.

„ძალიან პრივილეგირებულად ვგრძნობ თავს, რადგან პირველი ადამიანი ვარ, ვინც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა მიიღო. ეს არის საუკეთესო საჩუქარი, რასაც ჩემთვის ვისურვებდი, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავ შევძლებ მონატრებულ ოჯახის წევრებთან შეხვედრას“, — თქვა მარგარეტ ქენანმა.

მან ასევე მოუწოდა მოსახლეობას, რომ გაიკეთონ ვაქცინა.

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელმაც დაიწყო Pfizer-ის ვაქცინის გამოყენება მას შემდეგ, რაც რეგულატორებმა ის გასულ კვირას დაამტკიცეს.

შეგახსენებთ, გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ჯანდაცვის სამსახურმა გუშინ დაიწყო კორონავირუსის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაცია.

ვაქცინაციის პროგრამის პირველი ბენეფიციარები ხანდაზმულები და მზრუნველობით სახლებში მცხოვრები პირები იქნებიან.

დიდი ბრიტანეთის მარეგულირებელმა ორგანომ ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Pfizer-ისა და მისი გერმანული პარტნიორის BioNTech-ის ვაქცინა 2 დეკემბერს დაამტკიცა.

როგორც იუწყებიან ვაქცინის პირველი დოზები ბელგიიდან ბრიტანეთში უკვე ჩავიდა და შეიქმნა ვაქცინაციის 50 ცენტრი, რომელიც სხვადასხვა ჰოსპიტალში განთავსდა.

ბრიტანეთის ეროვნული ჯანდაცვის სამსახურის ინფორმაციით, კლინიკები 80 წელს გადაცილებული ადამიანების ვაქცინაციისთვის მოწვევას დაიწყებენ.

14 დეკემბრიდან კი ვაქცინაცია შედარებით უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს.

გელათს საფრთხე აღარ ემუქრება!!!



გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარზე დროებითი გადახურვების ბოლო ეტაპი მიმდინარეობს. თუნუქის მყარი სახურავით მთავარი ტაძრის ოთხივე მკლავი იფარება, რაც წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს, — ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო ავრცელებს.

„ზამთრის სეზონზე, პრევენციული ღონისძიებების მორიგ ეტაპს ისევ შემსრულებელი მხარე — „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ და მისი კონტრაქტორი კომპანია „იკორთა 2007“ ანხორციელებს. არქიტექტურულ კომპლექსზე ფიზიკური სამუშაოები რამდენიმე დღეა დაწყებულია. სააგენტოსთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით, მთავარი ტაძრის მკლავების გადაუხურავი ფართობები იმავე მეთოდით დაიფარება, რომელიც ტაძრის ქვედა რეგისტრების გადასახურად იყო გამოყენებული“ — აცხადებენ სააგენტოში.

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის დროებითი გადახურვის ღონისძიებებმა უკვე მოიცვა არქიტექტურული ნაგებობის სხვა კრიტიკული სეგმენტები, რომლის ფარგლებში მყარი სახურავით დაიფარა გუმბათის ყელთან მკლავების შეერთების ადგილები, ეკვდერები, საკურთხეველი, პასტოფორიუმები, კარიბჭეები და ნართექსი.

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობის დაცვის მიზნით გათვალისწინებული ქმედებების დასრულების შემდგომ, ზამთრის სეზონის განმავლობაში ინტერიერში წყლის ჩადინება სრულად არიდებული იქნება. ინფილტრაციის შეჩერებაზე პრევენციულად მოწყობილი გადახურვების ეფექტი უკვე აისახა სააგენტოს გეგმიური მონიტორინგის ანგარიშებში (3 ოქტომბრისა და 24 ნოემბრის მისიები), რომლის თანახმად აგვისტოს თვის მეორე ნახევრიდან ინტერიერში დატენიანებული არეალების უკუქცევადი შრობის პროცესი დადგინდა. სამუშაო სეზონის დადგომისთანავე, შესაბამისი სპეციალისტებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით გადახურვების კრიტიკული არეალების ე.წ. ზონდაჟების გახსნის გზით სრულფასოვნად შესწავლის საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებები. გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარზე თუნუქის დროებითი სახურავი ნაგებობის ქვედა რეგისტრებზე მოწყობილი წუნდებული კრამიტის ახალი კრამიტით სრულად ჩანაცვლებამდე შენარჩუნდება, რომლის ხარისხიც ლაბორატორიული კვლევითა და საექსპერტო დასკვნებით იქნება დამოწმებული.

გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გარემო პირობების გრძელვადიანი საზედამხედველო სისტემის ინსტალაციის პროცესი დაასრულა.

წმინდა გიორგის სახელობის ტაძრისა და ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ცენტრალური სივრცეების სხვადასხვა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილებზე საერთო ჯამში 18 შიდა სენსორი განთავსდა. მონიტორინგის სისტემები ინსტალირდა მთავარი ტაძრის საკურთხეველში, ეკვდერებსა და კარიბჭეებში. კომპლექსის ეზოში დამონტაჟდა სისტემის გარე სენსორი.

საზედამხედველო სისტემის საშუალებით შესაძლებელი გახდება მაკროკლიმატისა(გარეთ არსებული გარემოს) და მიკროკლიმატის (შიდა სივრცეები) ურთიერთქმედების შეფასება და კედლის მხატვრობის მდგომარეობაზე მათი გავლენის განსაზღვრა. მონიტორინგის სენსორების მეშვეობით ტენიანობისა და ტემპერატურული პარამეტრების წლის ოთხივე სეზონზე გაზომვისა და სრული მასშტაბით კედლის მხატვრობის გაღრმავებული კვლევის საფუძველზე სპეციალისტებს მხატვრობის კონსერვაციის მართვის გეგმისა და მისი განხორციელების სტრატეგიის შემუშავების საშუალება მიეცემათ. ეროვნულმა სააგენტომ გარემო პირობების გრძელვადიანი საზედამხედველო სისტემა მიმდინარე წელს შეისყიდა. მისი ინსტალაცია გელათის სამონასტრო კომპლექსის 2 ტაძარზე 3 და 4 დეკემბერს განხორციელდა.

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის კედლის მხატვრობის სრულფასოვანი კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაცია, მისი დაზიანებული კრამიტის სახურავის რეაბილიტაციის თანმდევად, მომავალი წლიდან შემუშავდება. კონსერვაციის პროექტი კვალიფიციურ მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფის მიერ, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მომზადდება.



მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში დაშვება დროებით იზღუდება

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეპიდემიური ვითარების გამო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა მუზეუმსა და მუზეუმ-ნაკრძალში ვიზიტორთა დაშვებას დროებით ზღუდავს.

დადგენილი რეგულაციების შესრულებისა და ეპიდემიოლოგების რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, ეროვნული სააგენტო მოქალაქეებს და ტურისტულ კომპანიებს დაგეგმილი ვიზიტებისა და ტურების გადავადებისკენ მოუწოდებს.

„მუზეუმ-ნაკრძალების ადმინისტრაციის თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებისა და ეპიდემიური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ დაქვედებარებაში მყოფ მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში დამთვალიერებელთა მიღება სამედიცინო უსაფრთხოების დადგენილი წესების გათვალისწინებით ჩვეულ რეჟიმში განახლდება.

სამუზეუმო სივრცეების გახსნის შესახებ განცხადებას სააგენტო წინასწარ გაასაჯაროებს“ — ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.

ფოთის განახლებული კულტურის პარკი

ფოთის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს, - ამის შესახებ ინფორმაციას ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

პროექტის ფარგლებში ეწყობა საფეხმავლო ბილიკები, შენდება სასცენო ნაგებობა, დაგეგმილია დასასვენებელი ბაქნებისა და სათამაშო, საბავშვო მოედნების, გაზონის, სასმელი წყლის შადრევნების, დეკორაციული განათების ბოძების მოწყობა. პარკში არსებული მნიშვნელოვანი ხე-მცენარეების დენდროლოგიური ჯიშებისათვის მცირე ზომის საინფორმაციო დაფების განთავსება; არსებული შადრევნის რეკონსტრუქცია და დამატებით ახალი შადრევნის მშენებლობა.

ფოთის ცენტრალურ პარკში მრავალწლიანი, უნიკალური ჯიშების საზღვარგარეთიდან ჩამოტანასა და პარკის განაშენიანებაზე ზრუნავდა ფოთის ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე.

პროექტის ღირებულება 1 მლნ 819 ათასი ლარია.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ უეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 11 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2910; ევრო - 3.9847;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3672;
100 რუბლი - 4.4244; თურქული ლირა - 0.4188;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9359;
1000 სომხური დრამი - 6.4215.

ამინდი 9 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+4
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge